1949

უ ფ ა ს ო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

ფელიეტონი მეთოდიკა

№ 4	Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1949 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

1. ბრძანება № 652 — საბავშვო სახლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 2
2. საზაფხულო მუშაობის ჩატარების შესახებ სასკოლო ტიპის საბავშვო სახლებში 9
3. დებულება სასკოლო საბავშვო სახლისა 26
4. ინსტრუქცია ბავშვთა გადაცემის შესახებ აღსაზრდელად მშრომელთა ოჯახებში 42

F 1093

თბილისი — 1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 652

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 15 აპრილი

საბავშვო სახლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 აპრილის № 335 დადგენილების შესაბამისად, „საბავშვო სახლების მდგომარეობისა და შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აღნიშნავს, რომ საბავშვო სახლების მუშაობაში და უდედმამოდ დარჩენილ მოზარდთა შრომით მოწყობის საქმეში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

საბავშვო სახლების უმეტესობა გადატვირთულია. 5.200 აღსაზრდელიდან 1.540 ბავშვი ორ-ორია თითო საწოლზე მოთავსებული, არ არის საკმაო რაოდენობით ოთახები, როგორც საალმზრდელო ჯგუფების სამეცადინოდ, ისე იზოლიატორებისა და საექიმო კაბინეტებისათვის.

საბავშვო სახლები დროულად არ მარაგდებიან საკვები პროდუქტებით, დადგენილი ასორტიმენტის, ხარისხისა და ნორმის მიხედვით. გასულ წელს მხოლოდ კოჯრის საბავშვო სახლებს არ მიუღიათ 128 ტ. კარტოფილი და ბოსტნეული, 162.729 კვერცხი და 43.070 ლიტრი რძე. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სხვა საბავშვო სახლებშიც. ზოგი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეები არ იბრძვიან საბავშვო სახლის ბიუჯეტის მთლიანად და დროულად ათვისების უზრუნველსაყოფად. 1948 წელს საჩხერის საბავშვო სახლს დარჩა აუთვისებელი 81,0 ათასი მანეთი, ბორჯომის საბავშვო სახლს—30,0 ათასი მანეთი და ა. შ.

ყველა საბავშვო სახლი არ არის უზრუნველყოფილი პედიატრ-ექიმებით, არ ხდება კბილის, ყურის, ყელისა და ცხვირის დაავადებათა სისტემატური მკურნალობა.

სამხრეთ ოსეთის ა/ო. განათლების განყოფილება და ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის (ქუთაისის, გორის, საჩხერის, ბორჯომის, გეგეჭკორის, სამტრედიის, ზუგდიდის) განათლების განყოფილებები არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს საბავშვო სახლების განტვირთვისა, საკვები პროდუქტებით დადგენილი ნორმებისა და ასორტიმენტის მიხედვით უზრუნველყოფისა და საკმაო რაოდენობის სათბობი მასალით საბავშვო სახლის მომარაგებისათვის.

სასწავლო ალმზრდელობითი მუშაობა საბავშვო სახლებში ჯერ კიდევ არ დგას მოთხოვნილების სიმაღლეზე. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყვეს საბავშვო სახლები ხელმძღვანელთა და ალმზრდელთა კვალიფიციური კადრებით, არ ატარებენ საკმაო ღონისძიებებს საბავშვო სახლების პედმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. საბავშვო სახლები არ არიან უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობის პედაგოგიური და საინსტრუქციო-მეთოდური ლიტერატურით.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, **ვბრძანებ:**

1. საბავშვო სახლების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი განტვირთვის მიზნით ა/წ. 1 ივლისისათვის დამატებით გაიხსნას ხუთი ახალი საბავშვო სახლი შემდეგ ადგილებში:

აჭარის ასსრ-ში	— 140	ბავშვზე
სამხრეთ-ოსეთში	— 60	„
რუსთავში	— 150	„
თელავში	— 70	„
კოჯორში	— 80	„

2. დაწესდეს საბავშვო სახლების განყოფილებაში 4 ინსპექტორ-რევიზორის საშტატო ერთეული არსებული შტატის ფარგლებში.

დაევალოს განყოფილებას ერთი კვირის ვადაში წარმომიდგინოს დასამტკიცებლად ამასთან დაკავშირებული ცვლილების პროექტი.

3. ნება დაერთოს საბავშვო სახლების განყოფილებას დასტოვონ საბავშვო სახლებში საშუალო განათლების მისაღებად წარჩინებულად მოსწავლე ახალგაზრდები. დაევალოს განყოფილებას ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს განსახილველად საბავშვო სახლების დებულებაში ამასთან დაკავშირებული ცვლილებები.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 აპრილის დადგენილების შესაბამისად, გავრცელდეს ა/წ. 1 თებერვლიდან საბავშვო სახლების დირექტორებსა, სასწავლო-საალმზრდელო ნაწილის გამგეებსა და ალმზრდელებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 3 მარტის დადგენილება № 155 — „დაწყებით, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებელთათვის ხელფასისა და პენსიების გადიდების შესახებ“ და აგრეთვე პუნქტი № 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის № 155 დადგენილებისა „დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლების მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ“.

5. დაევალოს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებას (უფროსი ამხ. ჭყონია):

ა) დროულად ჩაატაროს ყველა საჭირო სამზადისი სამუშაოები ახალი საბავშვო სახლების გახსნისათვის (შენობების შემოწმება ადგილზე, ფართობის დაზუსტება, რემონტის უზრუნველყოფა, კვების საკითხის მოგვარება და სხვ.);

ბ) აწლადგახსნილ საბავშვო სახლებში გაიყვანოს გადატვირთული საბავშვო სახლებიდან ზედმეტი ალსაზრდელები იმ ვარაუდით, რომ შესაძლებლობის მიხედვით დაცულ იქნეს დაწესებული სანიტარული ნორმები;

გ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეშვეობით მიმდინარე წლის ბოლომდის გადაამზადოს საბავშვო სახლების 150 პედმუშაკი;

დ) შეავსოს საბავშვო სახლების დირექტორების შემადგენლობა შემოწმებული და პედაგოგიური განათლების მქონე მუშაკებით;

ე) გააძლიეროს კონტროლი და მეთვალყურეობა პატრონატზე მყოფ ბავშვთა სწავლა-ალზრდაზე;

ვ) ინსტრუქციაში პატრონატზე ბავშვთა აყვანის შესახებ, შეიტანოს შესაფერი ცვლილებები პატრონირების ვადის გაგრძელების შესახებ, შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 აპრილის № 335 დადგენილებისა, და წარმოადგინოს დასამტკიცებლად;

ზ) გაძლიერებული კონტროლის ქვეშ დააყენოს საბავშვო სახლების საფინანსო-სამეურნეო მუშაობა და უზრუნველჰყოს რევიზიების ჩატარება საბავშვო სახლებში განყოფილების ინსპექტორ-რევიზორების მეშვეობით;

თ) მოაწყოს ინსპექტორ-რევიზორების გადამზადება საფინანსო-სამეურნეო რევიზიების ჩატარების წესისა და შინაარსის საკითხებზე;

ი) კიდევ უფრო გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება საბავშვო სახლებისადმი ბავშვთა შრომითი აღზრდისა და სწავლების დარგში;

კ) საქართველოს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირების საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცკ-სთან ერთად ერთი თვის ვადაში შეამოწმოს საბავშვო სახლებზე შეფობის მდგომარეობა და უზრუნველყოს საჭირო დახმარება;

ლ) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი საბავშვო სახლებში ტექნიკისა და ფიზალზრდის დარგში საწრეო და მასიური მუშაობის მაქსიმალურად გაძლიერებისათვის;

მ) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს საბავშვო სახლებში სანიტჰიგიენური პირობების დამყარება და საჭირო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების მიზნით.

6. დაევალოს საბავშვო სახლების დირექტორებს:

ა) ბავშვების ორ-ორად წოლის აღმოფხვრის მიზნით, მიმდინარე წელს მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობანი საბავშვო სახლების შენობების სასარგებლო ფართობის გადიდებისათვის გამოუყენებელი ოთახების გამოყენებით, შუშაბანდების ოთახებად გადაკეთებით და ა. შ.;

ბ) ჩაატარონ გადამჭრელი ღონისძიებანი აღსაზრდელთა ტექნიკური სწავლების, ფიზიკური აღზრდისა და სკოლისგარეშე მუშაობის გაძლიერება-გაუმჯობესებისათვის, ტექნიკური, ფიზკულტურული, ნ/ნატურალისტური, მხარეთმცოდნეობითი და სხვა საწრეო და მასობრივი სასწავლო-აღმზრდელობითი ღონისძიებათა საშუალებით.

კერძოდ, უზრუნველყონ საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ტექნიკურ სადგურებში მასობრივად ჩაბმა, სადაც შესაძლებლობა არის, და საბავშვო სახლებთან ფიზკულტურული მოედნების მოწყობა, განათლების სამინისტროს მიერ დაშვებულ საინტრუქციო მითითებათა საფუძველზე;

გ) გააძლიერონ აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებათა ზუსტად დაცვით, უზრუნველყონ აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური აღზრდის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, მედიკამენტებითა და მედმოწყო-

ბილობით საბავშვო სახლების უზრუნველყოფა, სანატორული მკურნალობისათვის გამოყოფილი საგზურების რაციონალურად გამოყენება და ა. შ.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საბავშვო სახლების პედმუშაკთა იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მჭიდრო კავშირი დაამყარონ ქალაქებისა და რაიონის განათლების განყოფილებათა მეთოდკაბინეტებთან და უზრუნველყონ საბავშვო სახლების ალმზრდელთა აქტიური მონაწილეობა ქალაქებსა და რაიონებში წარმოებულ მეთოდურ მუშაობაში, უზრუნველყონ მომავალი წლის დასაწყისიდან ყველა იმ ალმზრდელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა, რომელთაც არა აქვთ მიღებული პედაგოგიური განათლება;

ე) სასწავლო შრომითი სახელოსნოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყონ ისინი კვალიფიციური შრომის ინსტრუქტორებით, საწარმოო იარაღებით, სამუშაო მასალით და მთელი მუშაობა ააგონ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებულ პროგრამებისა და მითითებათა საფუძველზე;

ვ) სასოფლო-სამეურნეო შრომაში ბავშვთა ფართოდ ჩაბმისა და აგრეთვე ბავშვთა კვების დამატებითი პროდუქტებით გაძლიერების მიზნით უზრუნველყონ მიმდინარე წელს საბავშვო სახლებთან დამხმარე მეურნეობის (პირველ რიგში ბალისა და ბოსტნის) მოწყობა, განათლების სამინისტროს მიერ მიცემულ დავალებათა შესაბამისად.

7. დაევალოს განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას (უფროსი ამხ. ვ. ბიწაძე):

ა) უზრუნველყოს დაფინანსებით ახლადგასახსნელი საბავშვო სახლები (შენობების შეკეთება, მოწყობილობა, ხელფასი და სხვ.) იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელი გახდეს მათი ფაქტიურად გახსნა მიმდინარე წლის 1 ივლისიდან;

ბ) მოამზადოს საკითხი სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამტატო კომისიის წინაშე დასასმელად 5 ახალი საბავშვო სახლის სამტატო ერთეულების დამტკიცების შესახებ, არსებული ტიპიური შტატების მიხედვით;

გ) ორი კვირის ვადაში უზრუნველყოს საბავშვო სახლების პედმუშაკთა ხელფასის დაანგარიშება და გაცემა, თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 აპრილის № 335 დადგენილების მე-7 მუხლისა.

8. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (უფროსი ამხ. ი. კვაჭაძე) საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებასთან ერთად მიმდინარე წელს პედსასწავლებელ კურსდამთავრებულთაგან გაგზავნოს საბავშვო სახლებში სამუშაოდ [illegible]ლი ენის მცოდნე მასწავლებლები არანაკლები 15 კაცისა.

9. მატერიალური ფონდების განყოფილებამ (უფროსი ამხ. დ. მელიქაძე):

ა) გადამჭრელი ზომები მიიღოს საბავშვო სახლების უზრუნველსაყოფად შესაფერი ზომისა და ხარისხის მაგარი და რბილი ინვენტარით, სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, სასადილოს ჭურჭლებით და სხვა;

ბ) საბავშვო სახლების და სპეცსკოლების განყოფილებასთან ერთად ფართოდ გამოიყენოს ქალთა საბავშვო სახლებთან არსებული სამკერვალო სახელოსნოები საბავშვო სახლებისათვის ზოგიერთი რბილი ინვენტარის დასამზადებლად.

10. დაევალოს აჭარის ასსრ განათლების მინისტრს (ამხ. ნაკაიძეს) სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლების განყოფილების გამგეს (ამხ. გაგლოშვილს), თელავის განათლების განყოფილების გამგეს (ამხ. ნადაშვილს) და ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგეს (ამხ. ოდილაძეს) უზრუნველყონ ახალი საბავშვო სახლების მოსათავსებელ ბინების რემონტის ჩატარება და გარემოს კეთილმოწყობა იმ ვარაუდით, რომ სახლმა მუშაობა დაიწყოს არა უგვიანეს ა/წლის პირველი ივლისისა.

11. აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა (ამხ. სიგუამ), აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა (ამხ. ნაკაიძემ), სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. გაგლოშვილმა), ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბავშვო სახლების მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. კერძოდ, სისტემატურად შეამოწმონ საბავშვო სახლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა, მოისმინონ ანგარიშები საბავშვო სახლების მდგომარეობისა და უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის შესახებ, დასვან საკითხი ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე;

ბ) ადგილობრივ, ქალაქებისა და რაიონების პედაგოგურ კაბინეტების მუშაობის გეგმებში გაითვალისწინონ ღონისძიებანი, სკოლების მასწავლებელთა თანაბრად, საბავშვო სახლების პედმუშაკ-

თა იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადამჭრელი ზომებით უზრუნველყონ უმოკლეს ვადაში მზრუნველთა საბჭოებისა და შეფობის ჩამოყალიბება იმ საბავშვო სახლებთან, რომლებთანაც ჯერ ასეთი არ არიან ჩამოყალიბებული და გააუმჯობესონ არსებული მზრუნველთა საბჭოებისა და შეფების მუშაობა;

დ) გააძლიერონ კონტროლი და ზედამხედველობა პატრონატზე მყოფ ბავშვთა აღზრდა-სწავლის საქმეზე. ამ საქმის ხელმძღვანელობა ეკისრება პირადად განათლების განყოფილების გამგეს;

ე) ამ ბრძანების საფუძველზე ჩატარებული მუშაობის ანგარიში წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ა/წ პირველ ივნისისათვის.

12. დაევალოს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებას (უფროსი ამხ. თ. ჭყონია) ა/წლის 15 ივნისისათვის წარმოადგინოს შედეგები ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზაფხულო მუშაობის ჩატარების შესახებ სასკოლო ტიპის საბავშვო სახლებში

ზაფხული ხელსაყრელ დროს წარმოადგენს მთელი რიგი ალმზრდელობითი ღონისძიების გატარებისათვის სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის.

კომუნისტური აღზრდის საერთო ამოცანების გადაწყვეტისათვის საბავშვო სახლებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ ზაფხული:

1. ცოცხალი ბუნების ყოველმხრივი გაცნობისათვის ბავშვების მიერ, ნორჩ ნატურალისტური და საექსკურსიო-ტურისტული მუშაობის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის;

2. ბავშვთა გონიერი დასვენებისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის;

3. შრომითი ჩვევების გამომუშავებისათვის ბავშვებში სოფლის მეურნეობაში;

4. საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის მოწყობისათვის კოლექტიურ მეურნეობების, დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების, აგრეთვე ინვალიდების ოჯახების დახმარებისათვის და ა. შ.

ამავე დროს ზაფხულში უნდა გაგრძელდეს სხვა საგანმანათლებლო მუშაობაც ბავშვებთან (კლასგარეშე კითხვა, წრეების მუშაობა და ა. შ.), რაც უმთავრესად, ჩატარებული უნდა იქნას ჰაერზე და საზაფხულო პირობების შესაბამისად.

სამზადისი საზაფხულო მუშაობისათვის

თითოეულ საბავშვო სახლმა უნდა გაითვალისწინოს ზაფხულის პერიოდში თავისი მუშაობის კონკრეტული პირობები, ბავშვთა ასაკობრივი შემადგენლობა, მათი ფიზიკური მდგომარეობა და ყველა ამის შესაბამისად საფუძვლიანად მოემზადოს საზაფხულო მუშაობისათვის.

საზაფხულო მუშაობა საბავშვო სახლში რამდენიმედ პიონერული ბანაკის მსგავსად ეწყობა, ძლიერდება პიონერული ორგანიზა-

ციის მუშაობა, მყარდება საზაფხულო რეჟიმი, ეწყობა პიონერული „ხაზები“, დროშის აწევა და დაშვება. როგორც ჩვეულებრივად, საზაფხულო მუშაობას წარმართავს საბავშვო სახლის დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო აღმზრდელობითი დარგში, რომელნიც სრული პასუხისმგებელი არიან მის გატარებაში. უფროსი პიონერ ხელმძღვანელი მუშაობს მათი და კომკავშირის რაიკომის ხელმძღვანელობის ქვეშ.

საბავშვო სახლი გულდასმით ამზადებს შენობებს (იატაკების გარეცხვა, ფანჯრების გაწმენდა, შეთეთრება), კარმიდამოს მოწყოროსი პიონერ ხელმძღვანელი მუშაობს მათი და ცხადია, კომკავშირის რაიკომის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ამასთან ერთად მიმდინარეობს ბავშვთა მომზადებაც, ტარდება საექიმო გასინჯვა, ანტროპომეტრიული გაზომვა (სიმაღლის, აწონვა) და თითოეულ აღსაზრდელს ინდივიდუალურად ენიშნება ჰაერის, მზისა და წყლის გამოყენება, რასაც ეცნობიან, როგორც აღსაზრდელები, ისე საალმზრდელო ჯგუფების აღმზრდელები.

საზაფხულოდ მომზადებულ უნდა იქნას საბავშვო სახლის ტერიტორია, საჭიროა მისი დაგეგმვა, ყვავილების ჩათესვა, გაზონების გაკეთება, სათამაშო და სასპორტო მოედნების გაკეთება და მოწყობილობით უზრუნველყოფა სხვადასხვა თამაშობებისათვის; უნდა გაკეთდეს საქანელა, ჰორიზონტალური და მოძრავი დვირები, სარბენი ბილიკი, შეძენილ უნდა იქნეს სასპორტო და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მომზადებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი, შეძენილი თესლი, ნერგები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვთა საბანაო ადგილის მომზადებას, უბედურ შემთხვევათა თავიდან აცილების მიზნით. უსუფთაო საბანაო ადგილები საშიშია ბავშვთა ჯანმრთელობისათვის და შეიძლება გამოიწვიოს ბავშვთა დაავადება, ამიტომ, დაუშვებელია საბანაო ადგილების მოწყობა იქ, სადაც წყალს ასმევენ და აბანენ პირუტყვს, რეცხავენ სარეცხს, ჰყრიან ნაგავს. აგრეთვე არ შეიძლება ბანაობის დაშვება იქ, სადაც მდინარე დანაგვიანებულია, ჰყრია დამტვრეული შუშა, კონსერვის ყუთები, ლურსმნიანი ფიცრები და სხვა. არც მაღალი და მეტად დაქანებულ ნაპირებიან ადგილებშია დასაშვები ბანაობა.

საბანაო ადგილი გულდასმით უნდა იქნეს შერჩეული გაწმენდილი ყოველგვარი ნაყარისაგან, მდინარის საერთო ფართობიდან გამოყოფილი უნდა იქნას ის ადგილი, სადაც ნებადართულია ბანაობა.

თუ საბავშვო სახლს არ გააჩნია ბუნებრივი საბანაო ადგილი, შაშინ უნდა მოეწყოს პრიმიტიული შხაპი (შხაპისათვის იღებენ კასრს კრანით, აყენებენ მას ქვესადგამზე 1½—2 მეტრის სიმაღლეზე მიწიდან, კრანს მოარგებენ ბადურას სარწყავიდან). კასრი თავლია უნდა იყოს, რომ წყალი შეთბეს მზისაგან, ხოლო კასრის ირგვლივ არეს შემოფარგლავენ ფიცრებით ან კიდევ შემოლობვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის აბაზანების მისაღებად გაკეთებულ უნდა იქნას ხის საწოლები საკმარისი რაოდენობით. მთელი ეს მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებულ უნდა იქნას ბავშვების ბანაკად გასვლამდის.

ბავშვთა ფიზიკური აღზრდა და გამაჯანსაღებელი მუშაობა

გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზუსტად შედგენილ და კარგად მოფიქრებულ რეჟიმს, სადაც მეცადინეობა და დასვენება ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდეს და დროზირებულ იქნეს დროში.

კვება ზაფხულის პერიოდში შეძლებისდაგვარად უნდა გაძლიერდეს და ეძლეოდეს ბავშვებს დღეში ოთხჯერ. საჭმლის მიღებებს შორის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. დილის საუზმე უნდა ეძლეოდეს ბავშვებს არა უგვიანეს ერთი საათისა ადგომის შემდეგ; ვახშამი 1-1½ საათით ადრე დაძინებამდის. სადილი ტარდება 1-1/30 საათზე, სამხარი დღის 4 საათზე.

თუ საბავშვო სახლს ეძლევა სანატორიული ულუფა, მაშინ გამოყოფილ უნდა იქნას სუსტ ბავშვთა ჯგუფი და უნდა მოეწყოს მათი კვება ხუთჯერ დღეში.

დილის საუზმე და სადილი უფრო ნოყიერი და მოცულობით მეტი უნდა იყოს; დილის საუზმე უნდა უდრიდეს საერთო რაციონის 25%, სადილი—40%. ბავშვთა კვებაში აუცილებელია შეტანილი იქნას ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები, განსაკუთრებით გაზაფხულზე და ზაფხულის პირველ ნახევარში, რადგანაც შემდეგ შემოვა ხილიც.

ბავშვებს ყოველდღიურად უნდა ეძლეოდეს მწვანე ხახვი, მყაუნა, სალათა, კამა.

სასურველია ბავშვთა მთელი ცხოვრება მიმდინარეობდეს ჰაერზე, ამიტომ საჭიროა ღია სასადილოს მოწყობა ფარდულს ქვეშ ან მთლად ღია ცის ქვეშ, დაჩრდილულ მხარეზე.

ასევე ჰაერზე უნდა მოეწყოს დღის ძილიც, რასაც დღის რეჟიმით დათმობილი აქვს 1-1½ საათი. ფიზიკურად ჯანმრთელი უფროსი ასაკის ბავშვთათვის დღის ძილი შეიძლება შეიცვალოს წყნარი საათით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფილი უნდა იქნას სუფთა ჰაერი საწოლ ოთახებში ღამის განმავლობაში.

სრული დასვენებისათვის საჭიროა არა მარტო მოხერხებული საწოლი, აუცილებლად თითო-თითო ბავშვისათვის, არამედ სუფთა ჰაერიც, ამიტომ საძინებელ ოთახებში ფანჯრები უნდა იქნენ ღიად დატოვებული დღე-ღამის განმავლობაში; ღამით უკიდურეს შემთხვევაში, თითო ფანჯარა მაინც—ყოველ საძინებელ ოთახში იმ პირობით კი, რომ ორპირ ქარს ადგილი არ ექნას.

კოლოებისა და მალარიით მოსალოდნელი დაავადებისაგან თავის დაცვის მიზნით საჭიროა ფანჯრებს გაუკეთდეს შესაფერი ბადე.

ბავშვთა ნორმალური ზრდისა და ფიზიკური განვითარებისათვის დაწესებულია ძილის შემდეგი ხანგრძლივობა:

7-9 წლის ბავშვისათვის 11-12 საათი დღეღამეში;

10-13 წლის ბავშვისათვის 10-11 საათი დღეღამეში;

14 წლის ბავშვისათვის 10 საათი დღეღამეში.

სუსტ ბავშვთათვის ძილის ხანგრძლივობა რამდენიმედ უფრო მეტია. საზაფხულო რეჟიმის შედგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ ნორმებით.

დღის ძილის წინაც ბავშვებმა ტანისამოსი უნდა გაიხადონ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზაფხულის პერიოდში სანიტარულ-ჰიგიენურ ჩვევების დანერგვას და განმტკიცებას ბავშვებში. ბავშვები უნდა შევაჩვიოთ დაწოლის წინ ფეხების დაბანვას, კბილების გაწმენდას, ხელების დაბანვას ჭამის წინ და საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ. ბანვა უნდა ხდებოდეს ჰაერზე, შეძენილ უნდა იქნას ტაშტები ფეხების დასაბანად და შესამშრალებელი ტილოები.

ზაფხულის განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები ყოველდღიურად ბანაობენ, ტანს იზელენ სველი ტილოთი ან ღებულობენ შხაპს, აუცილებელია მათი ბანაობა აბანოში ერთწელ მაინც კვირაში.

ხშირად საბავშვო სახლებში არ ექცევა ყურადღება ბავშვთა ჩაცმას. მიუხედავად ამინდის ცვალებადობისა დღის განმავლობაში, ბავშვები იმავე თბილ ან მსუბუქ ტანისამოსში რჩებიან, რომლებიც მათ დილით ჩაიცვეს. ბავშვები ჩაცმულ უნდა იქნენ ამინდის შესაბამისად, ხოლო მუდამ მზად უნდა გვქონდეს რაიმე თბილი რომ შესაძლებელი იყოს მისი ზემოდ გადაცმა საჭიროების შემთხვევაში.

გამაჯანსაღებელ მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს საბავშვო სახლის ბინებისა და კარმიდამოს სანიტარულ მდგომარეობას. იატაკები საძინებელ ოთახში უნდა ირეცხებოდეს არანაკლებ ერთჯერ კვირაში, ხოლო სასადილოში—ყოველ დღე. სანიმუშოდ წესიერ მდგომარეობაში უნდა იქნენ შენახული საპირფარეშოები და სანაგვე ყუთები.

საბავშვო სახლში, ზაფხულის პერიოდში, ტარდება სპეციალური ღონისძიებანი ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მათ მიეკუთვნება ბანაობა, ჰაერისა და მზის აბაზანები, გასეირნებანი და ექსკურსიები, მოძრავი თამაშობანი და საზაფხულო სასპორტო მეცადინეობანი.

დილის გამამხნევებელი ვარჯიში ზაფხულში უნდა გატანილ იქნას ღია ცის ქვეშ, ხოლო წვიმის შემთხვევაში ფარდულს ქვეშ.

მზისა და წყლის სამკურნალო თვისებების გამოყენებაში ბანაობისა და მზის აბაზანების სახით საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დიდი ზიანის მიყენება ბავშვების ჯანმრთელობისათვის, გარდა ამისა, ზოგი ბავშვისათვის არ არის სასარგებლო ბანაობა და მზის აბაზანები. დასუსტებულ, მალარიით დაავადებულ და სისხლნაკლებ ბავშვებს ექიმი უნიშნავს ინდივიდუალურ რეჟიმს, რაც ზუსტად უნდა იქნას შესრულებული აღმზრდელთა მიერ.

ყველა სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებისათვის პასუხისმგებელია საბავშვო სახლის დირექტორი და ექიმი.

აღმზრდელი და ექიმი თვალყურს ადევნებს თითოეულ ბავშვის სულიერ განწყობილებას და აღრიცხავენ მათ მიერ გატარებულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გავლენას ბავშვზე.

ბავშვთა ბანაობა შეიძლება დაწყებულ იქნას 20°-დან ცელსით. ბანაობისათვის საჭიროა ბავშვთა წინასწარი მომზადება, განსაკუთრებით მცირე ასაკის ბავშვთათვის, რისთვისაც წინასწარ რამდენიმე დღის განმავლობაში უნდა ტარდებოდეს 32° ტემპერატურით წყლით ტანის დასველება. შემდეგ კი წყლის ტემპერატურა თანდათან უფრო დაბალი უნდა იყოს.

ბანაობისას, დასაწყისში, ბავშვები მეტად ცოტა ხანს უნდა დარჩნენ წყალში, შემდეგში კი თანდათან შეიძლება 5-8 წუთამდისაც დარჩენა.

ჩვეულებრივად, საკმარისია ერთხელ ბანაობა დღეში, სადილის წინ. ჯანმრთელ ბავშვებისათვის ექიმთან შეთანხმებით დასაშვებია ორჯერ ბანაობა ცხელ ამინდში. ბანაობის შემდეგ ბავშვის განწყობილებაზე საჭიროა მეთვალყურეობა: თუ რომელიმე ბავშვში ბანაობა ქანცვას იწვევს, უმადობას, შფოთავს ძილში ან სხვა რაიმე ავადმყოფურ მოვლენებს, მაშინ საჭიროა ექიმთან კონსულტაცია. ბანაობა უნდა დაუკავშირდეს ცურვის სწავლას. უფროს ბავშვებს შეუძლიათ ემზადონ ასაკობრივი ნორმების ჩასატარებლად ცურვაში.

მეთვალყურეობის გაადვილებისათვის მობანავეთა ჯგუფი ერთდროულად არ უნდა აღემატებოდეს 15 კაცს. ბანაობას უნდა ესწრებოდეს ვინმე ცურვის კარგი მცოდნე.

ბანაობისას ალმზრდელს, უფროს პიონერხელმძღვანელს თუ ვინც პასუხისმგებელი იქნება ბანაობის ჩატარებისათვის, მხედველობის არეში უნდა ჰყავდეს ყველა ბავშვი და შეამოწმოს მათი სახეზე ყოფნა ბანაობის შემდეგ.

ჰაერის და მზის აბაზანები. მზის აბაზანები ისეთ ძლიერად მომქმედ საშუალებას წარმოადგენს, რომლის გამოყენებაში საჭიროა დიდი სიფრთხილე და განსაზღვრული წესების დაცვა. პირველ დღეებში მზეზე ყოფნა შეიძლება მეტად მოკლე დროით. მზის აბაზანის მიღებამდე ბავშვები უნდა შეეჩვივნენ ჰაერზე ყოფნას 10-30 წუთის განმავლობაში, ნახევრად გახდილ მდგომარეობაში და მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც სხეული შეეჩვევა ჰაერს და რამოდენიმედ დაიფარება მზის ნამწვარით, შეიძლება მზეზე წოლა.

მზის აბაზანების მიღება ხდება ექიმის დანიშვნით და მისი მეთვალყურეობის ქვეშ. მზის აბაზანის მისაღები ადგილი დაცულ უნდა იქნას ქარისაგან. არ არის დასაშვები პირდაპირ მიწაზე, ბალახზე წოლა. დასაწოლად უნდა იყოს ფიცრის ნაფენი ან საწოლი. თავი დაფარული უნდა იყოს ჭილოფის ქუდით. კითხვა აკრძალულია, რადგანაც ეს საზიანოა მხედველობისათვის. მზის აბაზანების მიღება აკრძალულია 2 საათზე ადრე ჭამის შემდეგ.

თამაშობანი. ბავშვის ორგანიზმის განვითარებისათვის ეროერთ ყველაზე უფრო ხელმისაწვდომ საშუალებას წარმოადგენს მოძრავი თამაშობანი. თამაშობათა საერთო ხანგრძლივობა უნდა უდრიდეს 30-45 წუთს.

თამაშობა, რომელიც ენერგიის დიდ ხარჯვას მოითხოვს, უნდა ენაცვლებოდეს უფრო წყნარ თამაშობას.

მოძრავ თამაშობებიდან შეიძლება გამოყენებულ იქნას:

ა) თამაშობანი შეზღუდული მოძრაობებით: კატა-თაგვობანა,

ბ) თამაშობანი სირბილით;

გ) თამაშობანი ბურთით;

დ) სპორტული თამაშობანი: რიკ-ტაფელა, ქალაქობანა, ფრენ-ბურთი. ეს თამაშობანი დოზირებული უნდა იქნენ და მათ არ უნდა გამოიწვიონ ბავშვთა მოქანცვა;

ე) სპორტული შეჯიბრებანი უფროს ბავშვთათვის.

გასეირნებებსა და ექსკურსიებს დიდი ადგილი უნდა დაეთმოს საზაფხულო მუშაობაში ბავშვებთან, როგორც ისეთ ღონისძიებებს, რომელნიც უზრუნველყოფენ ბავშვთა ორგანიზმის გაჯანმრთელებას, ამტანობის, სიმარჯვის, გამბედაობის და სხვა თვისებათა აღზრდას, მაგრამ აუცილებელია მათი შესაბამისობა ბავშვთა ასაკსა და ჯან-ღონესთან.

ქვეითა ექსკურსიებისათვის სასკოლო ასაკის ბავშვთათვის დაწესებულია შემდეგი ნორმები: 10 წლიდან 12 წლამდე—4-5 კილომეტრის მანძილზე იქეთ-აქეთ, გზაზე შეჩერებითა და დასვენებით; 13-15 წლის ასაკის ბავშვთათვის—6-10 კილომეტრი. 7-9 წლის ასაკის ბავშვები გაჰყავთ სასეირნოდ ახლო მანძილზე.

ზაფხულში შესაძლებელია სამხედრო თამაშობათა ჩატარება, ტურისტული ლაშქრობანი რამდენიმე დღით, მეცადინეობათა მოწყობა ნორმების ჩაბარებისათვის ნიშნებზე: მშთ-ზე, იმსთ-ზე. ეწ-

ყობა წრეები მეთევზეთა, მცურავთა, მსუბუქი მძლეოსნობის და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანმანათლებლო მუშაობა და პოლიტგანათლება

საგანმანათლებლო მუშაობა სულ სხვა ფორმებს ღებულობს ზაფხულში ზამთართან შედარებით. ზაფხულში ფართოდ უნდა გაიშალოს წრეობრივი, კულტ-მასიური, საექსკურსიო-ტურისტული, მხარეთმცოდნეობითი და ნატურალისტური მუშაობა.

საზაფხულო მუშაობის ჩატარებას ყველა ამ ფორმებში მიზნად უნდა ჰქონდეს ბავშვთა განვითარება, მათი ხედვის არის გაფართოება, თავისი მხარისადმი, თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის აღზრდა, მატერიალისტური მსოფლმხედველობის აღზრდა.

ბავშვთა გამდიდრებისათვის ცოდნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ექსკურსიებს. ექსკურსიების თემატიკა შეიძლება მრავალფეროვანი იყოს ბავშვთა განვითარებისა და მათ მიერ სკოლაში მიღებულ ცოდნათა შესაბამისად. ექსკურსიების საშუალებით შესაძლებელია სკოლაში შესწავლილი საპროგრამო მასალის გაღრმავება და დაკონკრეტება.

ცოცხალი ბუნების შესწავლა კლასში, წლის განმავლობაში, მოითხოვს დაკვირვებებს, რომელთა ჩატარებაც განსაკუთრებით კარგად შეიძლება ზაფხულის პირობებში.

ექსკურსიის თემა შეიძლება იყოს ბოტანიკური ხასიათის (ჩვენი რაიონის სასარგებლო მარცვლეული, სარეველა მცენარეები, ტყისა და მინდვრის მცენარეები, წყალსაცავ, სამკურნალო მცენარეები და მათი შეგროვება და ა. შ.).

გეოგრაფიული (რელიეფის გაცნობა, გეოგრაფიულ ცნობებში გარკვევა—ჰორიზონტები, ქვეყნის მხარეები, მდინარის სათავე, მარჯვენა, მარცხენა ნაპირები, შესართავი და ა. შ.), ზოოლოგიური (ტყის მტრები და მეგობრები, მინდვრებისა და ბაღების მავნებლები, წყალსაცავის ცხოველები და ა. შ.), გეოლოგიური, ისტორიული. რაიონი შეიძლება დიდათ საინტერესო იყოს ისტორიულ-საზოგადოებრივი და ისტორიულ-რევოლუციონური თვალსაზრისით, აგრეთვე დიდი სამამულო ომის ეპიზოდების შესწავლისათვის.

სასურველია რაიონის ხუთწლიანი გეგმისა და მისი შესრულების მიმდინარეობის გაცნობა ბავშვების მიერ, წარმოების და სა-

კოლმეურნეო მინდვრების სტახანოველთა გაცნობა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურზე ექსკურსიის მოწყობა შრომის ორგანიზაციისა და წარმოების ტექნიკის გაცნობის მიზნით, ექსკურსიები რკინიგზის სადგურზე, წისქვილში, ფოსტაში და სხვ.

გარდა ამისა ზაფხულში გრძელდება ზოგად საგანმანათლებლო წრეების მუშაობა. საჭიროა ბავშვების განსაკუთრებით დაინტერესება ნატურალისტური და მხარეთმცოდნეობითი მუშაობით, რომელნიც ხელს უწყობენ არა მარტო საერთო განვითარებას, არამედ უზრუნველჰყოფენ მატერიალისტური მსოფლგაგებისა და თავისი სამშობლო მხარისადმი სიყვარულის აღზრდას ბავშვებში.

ზაფხულში უნდა გრძელდებოდეს აგრეთვე წიგნზე მუშაობა ინდივიდუალური და კოლექტიური კითხვის, თხრობისა და საუბრების სახით წაკითხულ წიგნებზე. საჭიროა ბავშვების დაინტერესება კითხვით, წიგნისადმი სიყვარულის აღზრდა და იმის მიღწევა, ,რომ ზაფხულში ბავშვები კითხულობდნენ თითოეული კლასისათვის რეკომენდირებულ წიგნებს.

მთელი ეს მუშაობა ბავშვებთან გაჟღენთილი უნდა იყოს იდეურ-პოლიტიკური მიმართულებით.

საუბრები, წიგნებისა და გაზეთების კითხვა საზოგადოებრივ პოლიტიკურ თემებზე, მიმდინარე-პოლიტიკური ამბების გაცნობა, ყოველდღიური პრაქტიკის შინაარსს უნდა შეადგენდეს საზაფხულო მუშაობაში ბავშვებთან. კედლის გაზეთმაც თავისი ადგილი უნდა პოვოს პიონერულ მუშაობაში.

ისეთი დღეები, როგორიცაა ფიზკულტურის დღე, ავიაციის დღე, რაც ზაფხულის პერიოდზე მოდის, უნდა აღინიშნოს შესაფერი საუბრებითა და დილა-საღამოების ჩატარებით.

ბავშვებთან წარმოებულ მუშაობის შედეგად შეგროვილ უნდა იქნას სხვადასხვა კოლექციები, შედგენილი ჰერბარიუმები, გაკეთებული ჩანაწერები და ჩანახატები წაკითხული წიგნების შესახებ, ჩანაწერები ნორჩ-ნატურალისტთა დაკვირვებებიდან, მხარეთმცოდნეობითი ექსკურსიების აღწერები, ალბომები და ა. შ. ყველაფერი ეს ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემებთან ერთად, მშვენიერ საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს საზაფხულო მუშაობის საალრიცხვო გამოფენაზე.

სასწავლო მუშაობა ზაფხულში წყდება. ის გრძელდება მხოლოდ იმ ბავშვებთან, რომელთაც მიღებული აქვთ სკოლიდან საშემოდგომო განმეორებითი გამოცდები ან საზაფხულო სამუშაოები. დირექტორმა უნდა მოაწესრიგოს ეს მუშაობა და დაამტკიცოს შესაფერი გეგმა. ამ მუშაობის დრო და ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმისაგან, თუ რამდენად ჩამორჩენილი არიან ბავშვები. ყოველ შემთხვევაში ეს მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს ორ საათს ყოველდღიურად ერთი თვის დასვენების შემდეგ სასკოლო მეცადინეობის დამთავრებიდან.

წიგნიერი წერის ჩვევების განმტკიცებისათვის ბავშვებში საჭიროა ისინი ვავარჯიშოთ დღიურების წერაში, ჩატარებული გასეირნებისა და ექსკურსიების აღწერაში, წაკითხულ წიგნების შესახებ აზრის წერილობითი გამოთქმაში, წერილების შედგენაში კედლის გაზეთისათვის და ა. შ.

ბავშვთა შრომითი აღზრდა და სწავლა

ბავშვთა შრომითი აღზრდისა და სწავლის საქმეში უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საინსტრუქციო-მეთოდური მითითებებით.

გაზაფხულის პერიოდში წყდება სისტემატური მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოებში და შრომითი სწავლა და აღზრდა ხდება სოფლის მეურნეობაში.

ბავშვების შრომა სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობს ისეთ დარგებში, როგორიცაა მებოსტნეობა, მებაღეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მინდვრის სამუშაოები. და მიზნათ ისახავს მიეცეს ბავშვებს ელემენტარული ჩვევები და ცოდნა სასოფლო-სამეურნეო შრომაში. ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო შრომის უშუალო ხელმძღვანელობა ეკისრება აღმზრდელებს, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა—დირექტორს და მის მოადგილეს სასწავლო აღმზრდელობითი დარგში და საბავშვო სახლის მეურნეობის გამგეს. სასოფლო-სამეურნეო შრომაში საბავშვო სახლის ყველა აღსაზრდელი უნდა ღებულობდეს მონაწილეობას.

სოფლის მეურნეობაში ბავშვთა მუშაობის საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 7-8 წლის ასაკის ბავშვთათვის ერთ

საათის, 9-10 წლის—ორ საათის, 11-13 წლის—სამ საათის და 14 წლის—4 საათის დღეში ორ წყებად, დილით და საღამოთი, დასვენებით.

ბავშვთა მოქანცვის აცილების მიზნით საჭიროა ინვენტარი შეესაბამებოდეს ბავშვის ძალღონეს და სიმაღლეს. რწყვისათვის უნდა გვქონდეს მომცრო ვედროები წონით ორიდან ოთხ კილოგრამამდე 12 წლის ბავშვთა ასაკისათვის.

ზაფხულის ცხელ პერიოდში, შუადღისას, პაპანაქებაში, დაუშვებელია ბავშვების მუშაობა.

საჭირო ზომები უნდა იქნას მიღებული ნატურალისტური მუშაობისა და ცდების მოწყობისათვის, რისთვისაც გამოყოფილ უნდა იქნას სპეციალური ნაკვეთები და მთელი მუშაობა უზრუნველყოფილი კვალიფიციური ხელმძღვანელით საბავშვო სახლის პედაგოგიური პერსონალიდან.

ბავშვები ჩაბმულ უნდა იქნენ საზოგადოებრივ შრომაში, რაც შესაძლებელია გამოიხატოს შემდეგ ფორმებში:

ა) კოლმეურნეობისათვის დახმარება შესაძლებლობის ფარგლებში მოსავლის აღებაში დარჩენილი თავთავების შეგროვებაში, გამარგვლაში, სახლის კარმიდამოს მწვანე ნარგავთა დაცვაში და ა. შ.;

ბ) სამკურნალო მცენარეების შეგროვება და საფთიაქო სამმართველოსათვის ჩაბარება. სასარგებლო ტყის მცენარეების შეგროვება—სოკოების, ტყის ხილის, მჟაუნასი, ასკილის და მათი კონსერვირება.

გრძელდება ან ხელახლა ეწყობა ტექნიკური წრეების მუშაობა—ფოტოწრის, ავიომოდელისტების, რადიოწრის,

საყოფაცხოვრებო შრომას იგივე ხასიათი აქვს, როგორც ზამთარში და გამოიხატება თავისი თავის მოვლაში, ტანისამოსის, შენობის, ეზოს მოვლაში, საჭმლის დამზადებაში, რეცხვასა და დაუთოვებაში.

ბავშვებს შეიძლება დაეკისროს საწოლების დალაგება, იატაკის რეცხვა, სათანადო მეთვალყურეობის ხელმძღვანელობის პირობებში იატაკის გარეცხვა 10 წლის ბავშვებსაც (2-3 ფიცარი თითოეულ ბავშვზე). უნდა ვასწავლოთ ბავშვებს ფანჯრების მინების კარგად გაწმენდა, კარ-ფანჯრების ჩარჩოების გაჩრეცხვა, ეზოს ტერიტორიის გაწმენდა (7-9 წლის ბავშვები შესძლებენ ეზოს გაწმენდას წვრილი ქვებისაგან, ქალალდების ნაგლეჯებისაგან), სასადილოში მორიგეობა, ჭურჭლის რეცხვა (7-9 წლის ბავშვებისათვის ჩაის ჭურჭელი).

კულინარიის სწავლებისას არ არის მიზანშეწონილი ბავშვების ხანგრძლივად ყოფნა საერთო სამზარეულოში.

სადაც კი შესაძლებელია, სასურველია საჭმლის მზადება მოეწყოს ჰაერზე.

ასევე უნდა მიუდგეთ რეცხვის სწავლების საქმესაც. ეს უნდა ხდებოდეს არა საერთო სამრეცხაოში, არამედ ამ მიზნით გამოყოფილ უნდა იყოს ცალკე ადგილი, დრო და ინვენტარი. საჭმლის დამზადებისა და რეცხვის სწავლება უნდა შევიდეს საბავშვო სახლის მუშაობის გეგმაში. უფროსი ბავშვები უნდა ეუფლებოდნენ პროდუქტების დამზადებას საზამთროდ—კიტრის, სოკოს, პამიდორის წნილად ჩადება, სოკოებისა და ხილის ჩირის გაკეთება და სხვა.

მხატვრული აღზრდა

ზაფხულში მხატვრული აღზრდა საწრეო და მასიური გაძლიერებული მუშაობის პროცესში სწარმოებს, სახელდობრ—სიმღერა, ცეკვა, დეკლამაცია, სახვითი მუშაობა, თოჯინების თეატრი და სხვა.

მუსიკალური და ლიტერატურული ნაწარმოებების შერჩევისას უნდა ვიხელმძღვანელოთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს დადგენილებებით ამ საკითხზე.

სიმღერას მიმართავენ სეირნობის დროს, დასვენების საათებსა და დღეებში პიონერთა კოცონებზე და ა. შ., ამიტომ სასურველია ბავშვების მიერ შესწავლილ იქნას რაც შეიძლება მეტი სიმღერები.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ცეკვებს — ეროვნულს და სსრკ-ს ხალხთა ცეკვებს, ლექსებისა და დეკლამაციების შესწავლას. ზეიმობისა და ლაშქრობების ჩასატარებლად სასურველია მოეწყოს ორკესტრი (ხალხური საკრავების, სამხედრო და სხვა).

ზაფხულის განმავლობაში სასურველია ჩატარდეს 3-4 მასიური დღესასწაული. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას პიონერული კოცონის მოწყობა. კოცონის პროგრამას ადგენს პიონერხელმძღვანელი სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგესთან ერთად. მისი ჩატარებისათვის საკმარისი უნდა იყოს 1-1½ საათი.

ბანაკის გარეგან გაფორმებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. საბავშვო სახლის ტერიტორიაზე უნდა დაირგოს ყვავილები, ბილიკებზე დაიყაროს სილა. მოედანზე იდგმება ანძა საბა-

ნაკო დროშისათვის, ხოლო მის ძირში ქვების, აგურის ან ბალახისა და ყვავილებისაგან კეთდება ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა ორგანიზაციების მუშაობა

ყოველგვარ მასიურ მუშაობაში ბავშვებთან აქტიურ როლს თამაშობს პიონერიხელმძღვანელი და პიონერ ორგანიზაცია.

ამავე დროს ბავშვთა საბჭო და მისი კომისიებიც განაგრძობენ თავის მუშაობას. ექსკურსიებისა და ლაშქრობების ჩატარებაში, თამაშობათა მოწყობაში, სასპორტო მოედნებსა და საბავშვო სახლის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაში, მწვანე ნარგავთა მოვლა-პატრონობაში, სანიტარულ-ჰიგიენურ წესების დაცვაზე მეთვალყურეობაში და ბავშვთა შრომის მოწყობაში ფართოდ უნდა იქნას ჩაბმული ბავშვთა აქტივი. ბავშვთა ახლო მონაწილეობა საზაფხულო ღონისძიებათა გატარებაში ხელს შეუწყობს ისეთი თვისების განვითარებას მათში, როგორიცაა ორგანიზატორული უნარი, ინიციატივა, სწრაფი ორიენტაცია, მიხვედრილობა და ა. შ. მეტად სასარგებლოა უფროს ბავშვთა ჩაბმა უმცროსების მოვლის საქმეში, მათთვის თამაშის მოწყობა, გასეირნება ყვავილნარსა და ბოსტანში მსუბუქ სამუშაოთა შესრულება.

მეთოდური მუშაობა

ზაფხულში მეთოდური მუშაობა არ წყდება. წინანდებურად უნდა იმუშაოს პედაგოგიურმა საბჭომ და მეთოდურმა თათბირებმა.

საბავშვო სახლის პედკოლექტივის წინაშე ზაფხულის პერიოდი ბევრ სპეციფიურ საკითხს აყენებს, რომელთაც განხილვა და მეთოდურად სწორი გადაწყვეტა ესაჭიროება: საზაფხულო მუშაობის გეგმები, გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარება, ბუნების შესწავლა სასკოლო პროგრამებთან დაკავშირებით, რეჟიმის შესრულებისა და მისი მნიშვნელობის საკითხები, ბავშვთა შრომის სახეები და ფორმები ზაფხულში სხვადასხვა ასაკისათვის, ნორჩ-ნატურალისტური მუშაობის შინაარსი და სახეები და მატერიალისტური მსოფლმხედველობის აღზრდა, გასეირნებანი და მათი გამოყენება საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელი მიზნებით, წიგნზე და გაზეთზე მუშაობა ზაფხულის პირობებში, მხარეთმცოდნეობითი მუშაობა გაზაფხულში, ზეი-

მებისა და კოცონის ჩატარების მეთოდები, ინდივიდუალური დაკვირვებანი ბავშვებზე მათი ფიზიკური მდგომარეობისა და ქცევის გაუმჯობესების მიზნით, პედაგოგიური სტატიების განხილვა გაზეთებისა და პერიოდული ჟურნალებიდან და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად სასარგებლოა, როგორც ეს ზოგიერთ სახლში კეთდება, გარდა სისტემატური მეთოდური თათბირებისა, დღის ბოლოს რამდენიმე წუთი ეთმობოდეს დღიური მუშაობის შეჯამებას და ისეთი სასწავლო-მეთოდური საკითხების განხილვას, რომელნიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვენ. მხოლოდ ბავშვებთან წარმოებული მუშაობის თავისი გამოცდილების თეორიულ მითითებათა საფუძველზე შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზეა შესაძლებელი სწორი და ეფექტური გამოყენება იმ მდიდარ შესაძლებლობათა, რომელსაც ზაფხული იძლევა.

დაგეგმვა და აღრიცხვა

საზაფხულო მუშაობა, რომელსაც დიდი გამაჯანსაღებელი, აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს, წინასწარ ყოველმხრივად მოფიქრებული და ზუსტად დაგეგმილი უნდა იქნას.

საზაფხულო მუშაობის გეგმას შემდეგი თავები შეიძლება ჰქონდეს:

1. მოსამზადებელი ღონისძიებანი.
2. ფიზიკური აღზრდა და გამაჯანსაღებელი მუშაობა.
3. საგანმანათლებლო მუშაობა ზაფხულის პირობებში.
4. პოლიტგანათლება და მასობრივი დღესასწაულები.
5. შრომა ზაფხულში — თვითმომსახურეობა, საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო შრომა, ტყის მცენარეთა და სამკურნალო მცენარეთა შეგროვება, კოლმეურნეობებისათვის დახმარება.
6. კულტმასობრივი მუშაობა: პიონერული კოცონები, დღესასწაულები, გასეირნებანი, ექსკურსიები, სპორტული გართობანი.
7. საწრეო მუშაობა და მუშაობა მხატვრული აღზრდის დარგში: სიმღერა, მუსიკა, ცეკვები.
8. ტექნიკური შემოქმედება, ნორჩ-ნატურალისტური მუშაობა, მხარეთმცოდნეობითი მუშაობა.
9. ბავშვთა და პიონერთა ორგანიზაციების მუშაობა.
10. მეთოდური მუშაობა.

11. მუშაობის აღრიცხვა და მისი ფორმები; მზადება გაძოფენისათვის.

ამ საერთო, მთელი საბავშვო სახლისათვის, გეგმის საფუძველზე აღმზრდელები ადგენენ თავიანთ მუშაობის გეგმას ჯგუფში, უკანასკნელის ასაკის, საერთო განვითარების, ჯანმრთელობისა და ბავშვთა ცოდნის გათვალისწინებით.

აღმზრდელთა გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებანი უნდა იყვნენ უაღრესად კონკრეტული (ექსკურსია სად, როდის, რა მიზნით; ამა და ამ წიგნის კოლექტიურად წაკითხვა, ჩანაწერებით, ჩანახატებით გაკეთება და ა. შ.).

გეგმები არა მარტო შინაარსის მხრივ, გარეგნულადაც წესიერად უნდა იქნენ გაფორმებული. სასურველია თითოეულმა აღმზრდელმა შეადგინოს მიმდინარე მუშაობის დღიური გეგმა, ხოლო გამოსასვლელი დღეებისათვის კიდევ ცალკე.

სასწავლო აღმზრდელობითი ნაწილის გამგე თვალყურს ადევნებს რომ გეგმები იყვეს კონკრეტული და წესიერად გაფორმებული.

მუშაობა იმავე რვეულში აღირიცხება, სადაც გეგმა არის დაწერილი (ერთ გვერდზე გეგმა, მეორეზე—აღრიცხვა); ჯგუფის მუშაობის წერილობითი აღრიცხვა შეივსება და დაკონკრეტდება თანდართული მასალებით ჩატარებული მუშაობიდან (ჩატარებული საუბრების კონსპექტები, ექსკურსიების გეგმები, ალბომები, ჰერბარიუმები, კოლექციები, ბავშვთა ჩანაწერები სხვადასხვა თემებზე, შთაბეჭდილებებზე ექსკურსიიდან, წაკითხული წიგნიდან და ა. შ.).

საზაფხულო მუშაობის დამთავრების შემდეგ თითოეულ საბავშვო სახლში ეწყობა პედაგოგიური საბჭო, სადაც მოხდება ჩატარებული მუშაობის შეჯამება ყოველ დარგში შეჯამება გამაჯანსაღებელი, საგანმანათლებლო და შრომითი აღზრდისა და სწავლებისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგები.

საზაფხულო მუშაობა მთავრდება საღრიცხვო შემაჯამებელი გამოფენით, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას:

ა) ექიმის ანგარიშები სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შედეგების შესახებ ცნობებით თითოეული ბავშვის ჯანმრთელობაზე ზაფხულის დასაწყისში და ბოლოს;

ბ) აღმზრდელების, პიონერხელმძღვანელის, წრის ხელმძღვანელების ანგარიშები;

საბავშვო სახლების რეჟიმი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის (სასკოლო და ზერეულ საბავშვო სახლებში) ზაფხულის პერიოდში

№№ რიგზე		7 წლის		8—10 წლამდე		11—13 წლამდე		14 წლის და ზევით	
		დრო	ხანგრძ.	დრო	ხანგრძ.	დრო	ხანგრძ.	დრო	ხანგრძ.
1	ადგომა	7.00	—	7.00	—	7.00	—	7.00	—
2	დილის დაჭურვა, წყლის პროცედურები, საწოლების და შენობის დასუფთავება-დალაგება	7.00— 7.40	40	7.00— 7.40	40	7.00— 7.40	40	7.00— 7.40	40
3	საუზმე	7.40— 8.00	20	7.40— 8.00	20	7.40— 8.00	20	7.40— 8.00	20
4	სას. სამ. შრომა	8.00— 8.30	30	8.00— 9.00	1.00	8.00—10.00	2.00	8.00—10.00	2.00
5	თავისუფალი მეცადინეობა, თამაში, გასეირ. ბანაობა	8.30—12.00	3.30	9.00—12.00	3.00	10.00—12.30	2.30	10.00—12.30	2.30
6	სადილი	12.00—12.30	30	12.00—12.30	30	12.30—13.00	30	12.30—13.00	30
7	წყნარი საათი	12.30—14.00	1.30	12.30—13.30	1.00	13.00—14.00	1.00	13.00—14.00	1.00
8	თავისუფ. მეცადინ	14.00—16.00	2.00	13.30—15.30	2.00	14.00—16.00	2.00	14.00 - 16.00	2.00
9	სამხარი	16.00—16.30	30	15.30—16.00	30	16.00—16.30	30	16.00—16.30	30
10	სას. სამ. შრომა	16.30—17.00	30	16.00—17.00	1.00	16.30—17.30	1.00	16.30—18.30	2.00
11	სკოლის გარ. მუშაობა	17.00—18.30	1.30	17.00—19.00	2.00	17.30—20.00	2.30	18.30—20.30	2.00
12	ვახშამი	18.30—19.00	30	19.00—19.30	30	20.00—20.30	30	20.30—21.00	30
13	თავისუფალი დრო	19.00—20.00	1.00	19.30—20.30	1.00	20.30—21.30	1.00	21.00—21.30	30
14	მომზადება ძილისათვის	20.00—20.30	30	20.30—21.00	3.00	21.30—22.00	30	21.30—22.00	30
15	ძილი	20.30— 7.00	10.30	21.00— 7.00	10.00	22.00— 7.00	9	22.00— 7.00	9

გ) მუშაობის გეგმები და ბავშვებთან ჩატარებული საუბრების კონსპექტები;

დ) აღწერები და შთაბეჭდილებანი ექსკურსიებიდან, ლაშქრობიდან, რაც ჩატარებული იყო ზაფხულში;

ე) ფოტო-სურათები, ჩანახატები ექსკურსიებზე, გასეირნებებზე და ლაშქრობებზე გაკეთებული.

ვ) სასოფლო-სამეურნეო მუშაობის შედეგების აღწერა;

ზ) ბოსტნეული, ნაყოფი, ყვავილები, თავისი ყვავილნარიდან (ნიმუშები ან სხვა სახით);

თ) სხვადასხვა კოლექტივები, ჰერბარიუმები ბავშვების მიერ შეგროვილი;

ი) ცნობები საბავშვო სახლის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის, მასობრივი საზეიმო დღეების, სპორტული გართობების შესახებ.

ბავშვთა ჯანმრთელობის შედარებითი მდგომარეობისა და საღრიცხვო კონკრეტული მასალების მიხედვით შესაძლებელია შეფასდეს ზაფხულის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შინაარსი, მოცულობა და შედეგები.

საზაფხულო მუშაობის ანგარიში დოკუმენტალური დანართებით წარმოდგენილ უნდა იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში 15 სექტემბრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია:
საქ. სსრ განათლების სამინისტროს
მიერ 1947 წ. 15 ოქტომბერს

სასკოლო საბავშვო სახლის დებულება

1. საერთო დებულებანი

1. სასკოლო საბავშვო სახლი არის კომუნისტური აღზრდის სახელმწიფო დაწესებულება.

2. სასკოლო საბავშვო სახლები საქ. სსრ-ში იმყოფებიან სახელმწიფო ხარჯზე და საქ. სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში.

3. სასკოლო საბავშვო სახლის ამოცანას შეადგენს:

ა) დაიცვას ბავშვთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, უზრუნველყოს მათი წესიერი მოვლა, ნორმალური კვება, ჩაცმა-დახურვა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ბავშვები ფიზიკურად ჯანმრთელი იყვნენ და საბავშვო სახლში თავს გრძნობდნენ, როგორც მშობლიურ ოჯახში;

ბ) უზრუნველყოს ბავშვები—მიიღონ განათლება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში, ხოლო კარგი წარმატების მქონე ბავშვებმა—საშუალო სკოლის ფარგლებში, აღზარდოს მათგან კულტურული, პატიოსანი, სოციალისტური საშშობლოსა და ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული მოქალაქენი;

გ) აღზარდოს ბავშვებში შრომისადმი სიყვარული და სოციალისტური მიდგომა, დანერგოს მათში შრომითი ჩვევები პროფესიის დაუფლებისათვის მომზადების მიზნით;

დ) აღზარდოს ბავშვებში ორგანიზებულობა და კოლექტივში თავის დაჭერის ჩვევები, შეაჩვიოს ისინი უფროსებისადმი პატივისცემით მოპყრობას, საბავშვო სახლის და პირად სარგებლობაში მყოფი ნივთების სათანადო მოვლას;

ე) მოაწყოს სკოლის გარეშე სხვადასხვა სახის მუშაობა, ბავშვთა აქტივობის, ინიციატივისა და შემოქმედებითი ნიჭის განვითარების მიზნით მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ამოცანების შესაბამისად;

ვ) მოაწყოს საბავშვო სახლის აღსაზრდელთა შრომითი პროფესიონალური სწავლება ბავშვთა ასაკისა და სქესის შესაბამისად, დაეხმაროს აღსაზრდელებს პროფესიის არჩევაში და უზრუნველყოს მათი მოწყობა სკოლებსა და სამუშაოებზე საბავშვო სახლიდან გასვლის შემდეგ.

4. საქ. სსრ სასკოლო საბავშვო სახლებში მიიღებიან 7 წლიდან 14 წლამდე ასაკის ბავშვები:

ა) უდედმამოდ და ყოველივე მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილები;

ბ) საარსებო საშუალებას მოკლებულები;

გ) სასამართლოს დადგენილებით მშობლებისათვის ჩამორთმეულები აღზრდის შეუფერებელი პირობების გამო.

5. სასკოლო საბავშვო სახლები იმყოფებიან რესპუბლიკურ ან ადგილობრივ ბიუჯეტზე.

განათლების განყოფილება, რომლის ტერიტორიაზედაც საბავშვო სახლი იმყოფება, ვალდებულია გაუწიოს საბავშვო სახლს სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა ბავშვების აღზრდაში და უზრუნველყოს ის სათბობი მასალით, მოწყობილობითა და სასწავლო ნივთებით.

შენიშვნა: გარდა საბიუჯეტო სახსრებისა, საბავშვო სახლს შეიძლება ჰქონდეს სპეცსახსრები დამხმარე მეურნეობისა და სახელოსნოების შემოსავლიდან და სხვა, რაც დამატებით ბიუჯეტისა, გამოიყენება ბავშვთა შენახვის გაუმჯობესებისათვის.

2. საბავშვო სახლში ბავშვთა მიღებისა და გამოშვების წესები

6. საბავშვო სახლში ბავშვთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურით, რომელიც გაიცემა ქალაქის ან რაიონის განათლების განყოფილებათა დასაბუთებული შუამდგომლობის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებლის მომართვის საფუძველზე. საბავშვო სახლ-

ში ბავშვთა ჩარიცხვის შესახებ განათლების განყოფილების შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

ა) ბავშვის წლოვანების მოწმობა (მეტრიკა), ბ) ექიმის ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ, გ) დასტური, რომ ბავშვი მეთვალყურეობასა და დამოუკიდებლად არსებობის მატერიალურ საშუალებას მოკლებულია, შემოწმებული სია იმ მამისეული ან დედისეული ქონებისა, რომელიც ამჟამად ბავშვის ქონებათ ითვლება, აღნიშვნით, თუ ვის, სად და როდის აქვს ეს ქონება ჩაბარებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმღებ-განმანაწილებლის მომართვას საბავშვო სახლში ბავშვის ჩარიცხვის შესახებ თან უნდა დაერთოს:

ა) თითოეულ ბავშვის შესახებ წესიერად შევსებული დადგენილი ფორმის საანკეტო ფურცელი;

ბ) ექიმის ცნობა წლოვანების შესახებ (რაც შეიძლება დაზუსტებული);

გ) ექიმის ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ;

დ) ბავშვის პედაგოგური დახასიათება მიმღებ-განმანაწილებელში ყოფნის პერიოდში;

ე) ბავშვის მშობლებისა და წარსულის შესახებ შეკითხვებზე მიღებული პასუხები;

შენიშვნა: 1) საბავშვო სახლში ბავშვის მიყვანისას ბავშვის პირად საქმეში უნდა იყოს:

ა) ექიმის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საბავშვო სახლში მიყვანის დღისათვის;

ბ) სია იმ ნივთებისა (ტანისამოსი და სხვა), რომელიც ბავშვს თან მიაქვს საბავშვო სახლში (არმატურული სია).

2) ინფექციური სნეულებით დაავადებული ბავშვები, აგრეთვე ფსიქიურად ავადმყოფები, ყრუ-მუნჯები, უსინათლონი, გონებრივად ჩამორჩენილები და ინვალიდები —ნორმალური ტიპის სასკოლო საბავშვო სახლში არ მიიღებიან.

7. საბავშვო სახლში ბავშვის ჩარიცხვა ფორმდება საბავშვო სახლის დირექტორის მიერ წერილობითი ბრძანებით განათლების სამინისტროს საგზურების საფუძველზე.

8. ბავშვების მიღება სასკოლო საბავშვო სახლში, როგორც წესი, წარმოებს საზაფხულო არდადეგების დროს. შუა სასწავლო

წელში ბავშვების მიღება დასაშვებია, თუ სახლს აქვს თავისუფალი ადგილები.

9. საბავშვო სახლიდან ბავშვის გაყვანა ფორმდება დირექტორის ბრძანებით. გაყვანილ აღსაზრდელებს ეძლევა ტანისამოსი, სამგზავრო ხარჯები, კვების პროდუქტები მგზავრობის პერიოდში და სხვა სახის დახმარება თანახმად განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი მითითებისა ამ საკითხზე.

10. აღსაზრდელთა გამოშვება საბავშვო სახლებიდან ხდება სასწავლო წლის დამთავრებისას. სახლიდან გამოიშვებიან:

ა) შვიდწლიანი სკოლის კურსდამთავრებულები;

ბ) ასაკგადაცილებულნი, რომლებსაც 14 წელი შეუსრულდათ სწავლას ჩამორჩენილები არიან ორი წლითა და მეტით და რომელნიც იგზავნებიან სახელოსნო სასწავლებლებსა ან წარმოებებში;

გ) ბავშვები, რომელთა ჩაბარებაც შეიძლება მშობლებისა ან მათი მოადგილეებისათვის უკანასკნელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო.

11. ის ახალგაზრდები, რომელნიც რვაწლიან სკოლის კურსს დაამთავრებენ წარჩინებით, იგზავნებიან სწავლის გასაგრძელებლად საშუალო სკოლის IX-XI კლასებში და სპეციალურ სასწავლებლებში (ტექნიკუმებში) და სწავლის დამთავრებამდე იმყოფებიან სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე, საბავშვო სახლების ნორმების მიხედვით, ამისათვის არსდება შემდეგი წესი:

ა) ბავშვი ცხოვრობს საბავშვო სახლში და იმყოფება მის სრულ კმაყოფაზე იმ შემთხვევაში, თუ სასწავლებელი, რომელშიდაც სწავლობს ბავშვი, მდებარეობს იმავე ქალაქში, სადაც საბავშვო სახლია;

ბ) თუ საბავშვო სახლის მდებარეობის ადგილზე არ არის არც საშუალო სკოლა და არც სპეციალური სასწავლებელი (ტექნიკუმები), მაშინ საბავშვო სახლის აღსაზრდელი შეიძლება გაიგზავნოს სასწავლებლად საშუალო სკოლაში ან სპეციალურ სასწავლებელში (ტექნიკუმში), რომელიც მდებარეობს სხვაგან, თუ ამ სასწავლებლებს აქვთ ინტერნატი ან საერთო საცხოვრებელი მოსწავლეთათვის.

სასწავლებელი, რომელიც მიიღებს საბავშვო სახლის აღსაზრდელს, ვალდებულია მოათავსოს ის ინტერნატში ან საერთო საც-

ხოვრებელში და შეინახოს სრულ სახელმწიფო ხარჯზე, საბავშვო სახლების ნორმების თანახმად.

ასიგნობანი ამ მიზნით გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. საბავშვო სახლის ყოფილი აღსაზრდელები და პატრონატზე მყოფნი, რომელნიც სწავლობენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში (ტექნიკუმებში), სტიპენდიას ღებულობენ სსრკ სახკომსაბჭოს 1943 წლის 15 სექტემბრის № 996 დადგენილების საფუძველზე.

13. საბავშვო სახლიდან გამოსაშვები აღსაზრდელები დირექტორმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი საბუთებით:

ა) მოწმობა საბავშვო სახლში ყოფნის შესახებ;

ბ) განათლების მოწმობა, სკოლიდან მიღებული;

გ) წლოვანების მოწმობა;

დ) პასპორტი, თუ გამოსაშვებ აღსაზრდელს 16 წელი შეუსრულდა;

ე) ექიმის მოწმობა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ.

14. საბავშვო სახლებიდან აღსაზრდელების გამოშვება ხდება განათლების სამინისტროს მითითების საფუძველზე.

15. საბავშვო სახლი ვალდებულია აწარმოოს გამოშვებულ ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა და გააფორმოს აღსაზრდელის გაყვანა საბავშვო სახლიდან ყველა საჭირო დოკუმენტებით (გამოშვების საფუძველი, მიმღები დაწესებულების ან პირის ხელმოწერა და ზუსტი მისამართი, გამოშვების დრო, გაცემული ინვენტარის, სურსათის და თანხის აღრიცხვა და ა. შ.).

16. აღსაზრდელის მიერ საბავშვო სახლიდან უნებართვოთ გასვლის შემთხვევაში საბავშვო სახლის დირექტორი ვალდებულია მიიღოს გადამჭრელი ზომები აღსაზრდელის მოსანახავად და მისი დასაბრუნებლად საბავშვო სახლში.

უნებართვოდ საბავშვო სახლიდან გასვლის ყოველი შემთხვევის და ბავშვის მოსანახად მიღებული ღონისძიებისა და მისი შედეგების შესახებ უნდა დაწვრილებით ეცნობოს განათლების სამინისტროს 24 საათის განმავლობაში.

17. საბავშვო სახლის დირექტორის არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში კავშირი აქვს გამოშვებულ აღსაზრდელებთან, აგრეთვე იმ წარმოებებსა და სასწავლო დაწესებულებებთან, სადაც აღ-

საზრდელები არიან მოწყობილი და ღებულობს მისგან დამოკიდებულ ზომებს გამოშვებულ აღსაზრდელის უზრუნველსაყოფად ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საბავშვო სახლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა

18. საბავშვო სახლის აღსაზრდელები სწავლობენ საერთო სკოლებში, საბავშვო სახლის აღსაზრდელთა სკოლის გარეშე დატოვებისათვის დირექტორი პასუხს აგებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ არსებული კანონის მიხედვით.

19. განათლების განყოფილებანი საბავშვო სახლის დირექტორის მომართვის საფუძველზე ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საბავშვო სახლის აღსაზრდელთა მიღება უახლოეს სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში და მათი მომარაგება სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით საერთო წესით.

20. საბავშვო სახლი უზრუნველყოფს: ა) ბავშვების დასწრებას სკოლაში გაკვეთილების გაუცდენლად და დაუგვიანებლად, ბ) ბავშვების მიერ სასკოლო დავალებათა დამოუკიდებლად დამზადებას აღმზრდელთა საერთო ხელმძღვანელობით, გ) დამატებითი მუშაობის ჩატარებას ჩამორჩენილებთან, როგორც აღმზრდელთა ძალებით, ისე სკოლის დახმარებით, დ) სკოლის მიერ საბავშვო სახლის ხარჯზე აღსაზრდელთა მომარაგებას სასწავლო წიგნებითა და ნივთებით.

21. საბავშვო სახლისა და სკოლის მუშაობაში ერთიანობის დამყარების მიზნით დირექტორი და აღმზრდელი ვალდებული არიან სისტემატურად ეცნობოდნენ სკოლის მუშაობას და აგრეთვე აღსაზრდელთა წარმატებას და ყოფაქცევას, ამავე მიზნით საბავშვო სახლის დირექტორი მონაწილეობს სკოლის პედსაბჭოს, ხოლო სკოლის დირექტორი—საბავშვო სახლის პედსაბჭოს მუშაობაში. საბავშვო სახლისა და სკოლის დირექტორები თანაბრად არიან პასუხისმგებელი ბავშვთა წარმატებისათვის.

32. შრომითი პროფესიონალური სწავლებისა და შრომითი აღზრდის მიზნით თითოეული სასკოლო საბავშვო სახლი: ა) აწარმოებს აღსაზრდელთა შრომითი პროფესიონალურ სწავლებას საწარმოო-სასწავლო სახელოსნოებსა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე და შრომითი სწავლების სპეციალური პროგრამის დამუშავების შედეგად ანიჭებს აღსაზრდელს ამა თუ იმ პროფე-

სიაში შესაფერ შრომითი პროფესიონალურ კვალიფიკაციას, ბ) 11 წლის ასაკამდე აღსაზრდელთათვის აწყობს შრომის ოთახებს არსებული დებულების საფუძველზე შრომის სხვადასხვა დარგში და უზრუნველყოფს 8—11 წლის ასაკის აღსაზრდელთა ორგანიზებულად მუშაობას ამ ოთახებში, გ) საბავშვო სახლის აღსაზრდელთა მთელ მასას, ასაკის, სქესისა და ჯანმრთელობის შესაბამისად ორგანიზებულად აბამს ყოველდღიურ თვითმომსახურეობითი საყოფაცხოვრებო შრომაში.

23. სასწავლო-საალმზრდელო მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად საბავშო სახლი აწარმოებს სხვადასხვა სახისა და შინაარსის საწრეო და მასიურ სკოლისგარეშე მუშაობას — აყალიბებს ფიზკულტურულ-სპორტულ, მხატვრული აღზრდის, საერთო საგანმანათლებლო, ტექნიკური და სხვა სახისა და შინაარსის წრეებს, ატარებს მასობრივი ხასიათის აღმზრდელობით ღონისძიებებს — საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, მიზნობრივ ლაშქრობას, ექსკურსიებს, დილა-საღამოებს და ა. შ.

24. საბავშვო სახლის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს საბავშვო სახლის აღსაზრდელთა ქცევის წესების დანერგვას აღსაზრდელებში, მათ შეგნებულად შესრულებას და ამ გზით დადებითი ქცევის მტკიცე ჩვევების გამომუშავებას.

ხაბავშვო სახლს აქვს სეზონის მიხედვით სამუშაო და დასასვენებელი დღეებისათვის შემუშავებული რეჟიმი, რომლის შესრულება სავალდებულოა, როგორც აღსაზრდელთა, ისე საბავშვო სახლის თანამშრომელთა მთელი კოლექტივის მიერ.

25. აღსაზრდელებში საზოგადოებრივი ორგანიზებული შრომის ჩვევების გამომუშავების, საბავშვო სახლის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში აღსაზრდელთა მთელი მასის აქტიურად ჩაბმისა და ამ მიმართულებით სახლის პედაგოგიური კოლექტივისათვის მაქსიმალური დახმარების მიზნით, საბავშვო სახლში ყალიბდება ბავშვთა საბჭო, რომელიც მუშაობს სპეციალური დებულების საფუძველზე.

ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა

26. საბავშვო სახლის შენობა სუფთად უნდა ინახებოდეს და თავის დროზე ტარდებოდეს რემონტი, მუდამ უნდა იყოს მოვლილი, დალაგებული, საკმაოდ განათებული და დამთბარი.

საბავშვო სახლის ეზოს ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს მოედანი თამაშისა და ფიზკულტურისათვის.

27. საბავშვო სახლი უზრუნველყოფს ბავშვების რაციონალურად კვებას. საჭმელი უნდა იყოს საკმაოდ სხვადასხვაგვარი, გემრიელად მომზადებული და შეესაბამებოდეს ასიგნებულ სახსრებს. ფიზიკურად დასუსტებული ან ავადმყოფი ბავშვები ექიმის ინდივიდუალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებით უზრუნველყოფილი უნდა იქნენ გაძლიერებული ან დიეტური კვებით.

28. ტანსაცმელი უნდა იყოს სატარებლად სავსებით გამოსადეგი და აკმაყოფილებდეს სეზონის მოთხოვნილებას.

29. საწოლები და ლოგინები უნდა იყოს ჰიგიენური, მოხერხებული და სუფთა. საცვლები უნდა გამოიცვალოს ყოველ ექვსდღიურში ერთხელ, ლოგინის თეთრეული კი—10 დღეში ერთხელ, აბანოში ბავშვები იბანენ ყოველ ათდღეში, თმას ვაჟები იკრეჭენ თვეში ერთხელ.

30. ყოველ დილას ტარდება ფიზიკური ვარჯიში ბავშვთა ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად.

31. ავადმყოფი ბავშვები, რომლებიც იზოლაციას საჭიროებენ, მოთავსდებიან საექიმო იზოლიატორში, რომელიც უნდა იყოს თითოეულ საბავშვო სახლში.

32. საბავშვო სახლის დღის განაწესში ბავშვთა სრული დასვენებისათვის, თამაშისა და ჰაერზე საკმარისი ხანგრძლივობით ყოფნისათვის, საბავშვო სახლის რეჟიმით გამოყოფილი უნდა იყოს 3-4 საათი, ძილისათვის—10 საათი 8-11 წლის ასაკის ბავშვთათვის, ხოლო 9 საათი—12 წლისა და ზევით ასაკის ბავშთათვის.

33. არდადეგებზე ყველა საბავშვო სახლმა უნდა უზრუნველყოს გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარება. ქალაქებში არსებული საბავშვო სახლები აწყობენ ბავშვების გაყვანას პიონერთა ბანაკებში ან საგარაკო ადგილებში.

საბავშვო სახლის დირექტორი

34. საბავშვო სახლის დირექტორს ნიშნავს და ანთავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

35. საბავშვო სახლის დირექტორად დაინიშნება ის პირი, რომელსაც მიღებული აქვს არანაკლები საშუალო პედაგოგიური განათლებისა, აქვს 3 წლის პედსტაჟი და ცნობილია როგორც მოწინავე პედაგოგი.

36. საბავშვო სახლის დირექტორი ერთმმართველობის საფუძველზე ხელმძღვანელობს საბავშვო სახლის მთელ მუშაობას და

სრული პასუხისმგებელია სამეურნეო-ორგანიზაციული და სასწავ-
ლო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისა და მდგომარეობი-
სათვის საბავშვო სახლში.

ამის შესაბამისად საბავშვო სახლის დირექტორი ვალდებულია:

ა) უხელმძღვანელოს პირადათ და სასწავლო-აღმზრდელობით
ნაწილში მოადგილის მეშვეობით აღმზრდელთა ყოველდღიურ მუ-
შაობას, განახორციელოს მათ მუშაობაზე სისტემატური კონტრო-
ლი და შეამოწმოს მუშაობის მიმდინარეობა სხვადასხვა უბნებზე;

ბ) უხელმძღვანელოს საბავშვო სახლის პედსაბჭოს მუშაობას;

გ) გაატაროს ღონისძიებანი პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღ-
ლებლად;

დ) დააკომპლექტოს საბავშვო სახლი პედაგოგიურ და ტექნი-
კურ პერსონალით დადგენილი წესის საფუძველზე;

ე) მიიღოს ბავშვები განათლების სამინისტროს საგზურებით და
იზრუნოს აღსაზრდელთა ორგანიზებულად გამოშვებასა და მათ
მოწყობაზე;

ვ) დროულად შეადგინოს და ცხოვრებაში გაატაროს საბავშვო
სახლის ორგანიზაციულ-პედაგოგიური და სამეურნეო მუშაობის
წლიური გეგმები, დაამტკიცოს მეოთხედის გეგმები;

ზ) თავის დროზე შეადგინოს გასავლის ხარჯთაღრიცხვა და გა-
ანაცხადები საჭირო მასალასა და მოწყობილობაზე, უზრუნველ-
ყოს საბავშვო სახლის თანამშრომელთა ხელფასის თავის დროზე
გაცემა და დააწესოს მორიგი შვებულების ვადები;

თ) როგორც კრედიტების განმკარგულებელმა, უხელმძღვანე-
ლოს ფულადი სახსრების ხარჯვას ხარჯთაღრიცხვის თანახმად,
უზრუნველყოს აღრიცხვისა და ანგარიშგების სისწორით წარმოება;

ი) უზრუნველჰყოს დროულად შენობის რემონტი, გათბობა, გა-
ნათება, შეუძინოს საბავშვო სახლს ავეჯი, საწოლები და ლოგი-
ნები, თეთრეული, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და სასწავლო ნივთები,
უზრუნველყოს ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება;

კ) უზრუნველყოს ბავშვთა დროული და ხარისხიანი კვება;

ლ) კავშირი იქონიოს ადგილობრივ საბჭოთა, პარტიულ და სა-
ზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

37. დირექტორის განკარგულება ამ დებულებისა და არსებული
კანონმდებლობის ფარგლებში სავალდებულოა საბავშვო სახლის
ყველა თანამშრომლისათვის.

38. დირექტორმა უნდა წაახალისოს საუკეთესო მუშაკები, მეორეს მხრივ ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს შრომის დისციპლინის დამრღვევ თანამშრომლებს. დირექტორს უფლება აქვს დაითხოვოს თანამდებობიდან მოსამსახურე-ტექნიკური პერსონალი და წარადგინოს დასათხოვნად სასწავლო-საალმზრდელო პერსონალი, რომელიც არ შეეფერება თავის დანიშნულებას.

39. საბავშვო სახლის დირექტორი ზრუნავს იმ აღსაზრდელის შშობლებთან კავშირის აღდგენაზე, რომელთაც დაკარგეს მშობლები, იყენებს ყველა არსებულ საშუალებას აღსაზრდელის მამისეული ან დედისეული ქონების გამორკვევისა და დაცვისათვის.

დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში

40. საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში ინიშნება მოწინავე პედაგოგი, განათლებით არანაკლები საშუალო პედაგოგიურისა და პედსტაჟით არანაკლები 3 წლისა.

41. საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილეს ნიშნავს და ანთავისუფლებს საქ. სსრ განათლების მინისტრი.

42. საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია მთელი სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ორგანიზაციისა და ხარისხისათვის, აღსაზრდელთა მოსწრებისა და ყოფაქცევისათვის.

43. დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში ვალდებულია:

ა) სისტემატური ინსტრუქტაჟი გაუწიოს აღმზრდელთა პერსონალს და შეამოწმოს მისი მუშაობა, რისთვისაც ის უნდა ესწრებოდეს ყველა სახის მეცადინეობას და ამოწმებდეს აღმზრდელთა ჟურნალებსა და დღიურებს, აღსაზრდელთა რვეულებსა და დღიურებს და ა. შ.'

ბ) აწარმოოს სწავლაში ბავშვთა წარმატების სისტემატური აღრიცხვა;

გ) შეადგინოს საბავშვო სახლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გეგმები სასწავლო მეოთხედებისათვის;

დ) აწარმოოს საბავშვო სახლში მეთოდური მუშაობა, სასწავლო ნივთების, მეთოდური მასალებისა და სასწავლო-მეთოდური

ლიტერატურის შერჩევა-ალრიცხვა, განაწილება და მოაწესრიგოს მათი დაცვა-შენახვა;

ე) გაშალოს კულტურულ-მასობრივი მუშაობა ბავშვებთან და მონაწილეობა მიიღოს ბავშვთა ორგანიზაციების მუშაობის ხელმძღვანელობაში;

ვ) შეადგინოს ყველა მეცადინეობის ცხრილი საბავშვო სახლისათვის და წარუდგინოს დირექტორს დასამტკიცებლად;

ზ) უხელმძღვანელოს და პასუხი აგოს ბავშვთა პირადი საქმეების სისწორით წარმოებაზე.

საბავშვო სახლის პიონერხელმძღვანელი

44. სასკოლო ტიპის ყველა საბავშვო სახლში ყალიბდება პიონერორგანიზაცია. პიონერორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს პიონერხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საბავშვო სახლის მთელ პოლიტალმზრდელობით მუშაობაში.

45. პიონერ-ხელმძღვანელს ნიშნავს და ანთავისუფლებს ალკკ-ს სარაიონო და საქალაქო კომიტეტი განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით რესპუბლიკური დაქვემდებარების საბავშვო ხალში. ადგილობრივ დაქვემდებარების სახლებში კი—საქალაქო ან სარაიონო განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით.

საბავშვო სახლის ალმზრდელი

46. რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ საბავშვო სახლის ალმზრდელს — დირექტორის წარდგენით ნიშნავს და ანთავისუფლებს საქ. სსრ განათლების მინისტრი, ხოლო ადგილობრივი დაქვემდებარების სახლებში—შესაბამი განათლების განყოფილება.

47. საბავშვო სახლის ალმზრდელს ევალება აწარმოოს უშუალო სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა ბავშვებთან, იზრუნოს მათ ჯანმრთელობასა და ყოველმხრივ განვითარებაზე კომუნისტური ალზრდის ამოცანების შესაბამისად.

ამის მიხედვით ალმზრდელი ვალდებულია:

ა) გაატაროს სასწავლო-საალმზრდელო ღონისძიებანი ჩაბარებულ ჯგუფში, ყოველმხრივ შეისწავლოს თავისი ჯგუფის თითოეული ბავშვი, მზრუნველობითა და ყურადღებით მოეპყრას ალსაზრდელებს და პასუხი აგოს მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე;

ბ) სისტემატურად უხელმძღვანელოს ბავშვთა მიერ სამინაო დავალებათა შესრულებას, იმუშაოს ჩამორჩენის თავიდან ასაცილებლად და აწარმოოს დამატებითი მეცადინეობა მისი ლიკვიდაციისათვის, ასწავლოს და შეაჩვიოს ბავშვები გაკვეთილების დამოუკიდებლად მომზადებას, სახელმძღვანელოზე მუშაობას, წიგნისა და სასწავლო ნივთების წესიერ მოპყრობას, დღიურებისა და რვეულების სუფთად ხმარებასა და შენახვას და ა. შ.;

გ) თავისი ჯგუფის ბავშვებთან აწარმოოს სკოლის გარეშე მუშაობა: კლას-გარეშე კითხვა, თხრობა, ექსკურსია, სეირნობა, თამაშობა და მასობრივი და საერთო მუშაობის სხვა სახეები;

დ) მუდმივ კავშირში იყოს კლასის ხელმძღვანელებთან და სკოლის მასწავლებლებთან;

ე) აწარმოოს ყოველდღიური მუშაობა ჩაბარებული ბავშვების პოლიტიკური აღზრდისათვის და გაუწიოს დახმარება პიონერ-ორგანიზაციას;

ვ) უხელმძღვანელოს ბავშვთა თვითმმართველობითი შრომას;

ზ) შეადგინოს გეგმები და ანგარიშები თავისი მუშაობის შესახებ ბავშვებთან და იმუშაოს თავისი პოლიტიკური და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

შრომის მასწავლებელი

48. შრომის მასწავლებელს საბავშვო სახლის დირექტორის წარდგენით ნიშნავს და ანთავისუფლებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საბავშვო სახლებში საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, ადგილობრივი დაქვემდებარებისაში — შესაბამი განათლების განყოფილება.

49. შრომის მასწავლებლად ინიშნება პირი, რომელსაც ამ სპეციალობაში აქვს საწარმოო კვალიფიკაცია და საერთო განათლება არა ნაკლებ არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში.

შრომის მასწავლებელი ვალდებულია:

ა) აწარმოოს სისტემატური შრომითი სწავლება დაწესებული პროგრამებით;

ბ) დანერგოს ბავშვებში შრომის კულტურა, განავითაროს მათში ინტერესი ტექნიკისადმი და პრაქტიკულ მუშაობაში თეორიული ცოდნის გამოყენების უნარი, ასწავლოს მათ ტექნოლოგია და ტექნიკური ხაზვა;

გ) მოაწყოს ბავშვთა ექსკურსიები წარმოებებში, მუზეუმებში და ტექნიკურ გამოფენაზე;

დ) უხელმძღვანელოს აღსაზრდელთა საწარმოო პრაქტიკას;

ე) უზრუნველყოს სახელოსნოებში სამუშაო ადგილების სწორი ორგანიზაცია, უშიშროების ტექნიკა, ხელსაწყო იარაღებისა და მასალის შენახვა და გაცემა;

ვ) პასუხი აგოს სახელოსნოს მოწყობილობის დაცვაზე, მასალის რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენებაზე;

ზ) შეადგინოს შრომითი სწავლების გეგმები თითოეული ჯგუფისა და ცალკე აღსაზრდელისათვის და ანგარიშები თავისი მუშაობის შესახებ;

თ) წახალისების მიზნით წარუდგინოს დირექტორს დასაჯილდოებლად აღსაზრდელები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში.

საბავშვო სახლის სხვა თანამდებობათა პირები

50. ექიმსა და ექთანს ნიშნავს და ანთავისუფლებს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება შესაბამის განათ. განყოფილებასთან შეთანხმებით, ხოლო რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ სახლებში ჯანდაცვის სამინისტრო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

ექიმსა და ექთანს ეკისრებათ:

ა) აღსაზრდელთა საექიმო შემოწმება, შემოწმების ჟურნალის წარმოება, საექიმო-სანიტარული რუქის შედგენა თითოეულ ბავშვზე;

ბ) ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სისტემატური კონტროლი (ბავშვთა გასინჯვა რეგულარულად, აწონვა და სხვ.);

გ) თვალყურის დევნება და ზრუნვა საბავშვო სახლის შენობის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე;

დ) კვების ხარისხზე მეთვალყურეობა და მენიუს შედგნაში მონაწილეობა;

ე) აღსაზრდელთათვის პროფილაქტიკური და საექიმო დახმარების აღმოჩენა;

ვ) გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ორგანიზაცია და სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება საბავშვო სახლის აღსაზრდელთა და პერსონალს შორის.

51. სამნეო ნაწილის გამგეს ნიშნავს და ანთავისუფლებს საბავშვო სახლის დირექტორი რესპუბლიკური დაქვემდებარების სახლებში განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო ადგილობრივ დაქვემდებარებისა—შესაბამი განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით.

სამნეო ნაწილის გამგეს ევალება:

ა) საბავშვო სახლის სამეურნეო ცხოვრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი სამუშაოს შესრულება;

ბ) ინვენტარის შეძენა და მოვლა-შენახვა;

გ) შენობის, ავეჯისა და სხვა ინვენტარის რემონტი;

დ) საბავშვო სახლის უზრუნველყოფა საკვები პროდუქტებით, ტანსაცმელ-ფეხსაცმლით, სათბობი მასალით, განათებითა და სახელოსნოებისათვის საჭირო მასალით;

ე) ტექნიკური პერსონალის მუშაობის ორგანიზაცია და კონტროლი;

ვ) პასუხისმგებლობა ქონების დაცვისა და ინვენტარის სწორად გამოყენებისათვის;

ზ) სახანძრო დაცვის მოთხოვნილებათა შესრულება.

52. ბუხჰალტერ-მოანგარიშე აწარმოებს საფინანსო-მატერიალურ ანგარიშებს და დირექტორის თანაბრად პასუხისმგებელია ფულადი სახსრების სწორად ხარჯვისა და მატერიალურ-ფინანსიური ანგარიშების მდგომარეობისათვის.

53. ბუხჰალტერ-მოანგარიშეს ნიშნავს და ანთავისუფლებს განათლების სამინისტრო საბავშვო სახლების დირექტორის წარდგენით, შესაბამისი განათლების განყოფილება საბავშვო სახლის დაქვემდებარების მიხედვით.

54. საბავშვო სახლის მომსახურე პერსონალს (თეთრეულის გამგე, მზარეული, დარაჯი, ცეცხლფარეში და სხვ.) ნიშნავს საბავშვო სახლის დირექტორი.

55. მომსახურე პერსონალის მოვალეობანი განისაზღვრება საბავშვო სახლის დირექტორისა და პროფკავშირის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით ტიპიური შინაგანაწესის საფუძველზე.

პედაგოგიური საბჭო

56. საბავშვო სახლის პედაგოგიური საბჭო სახლის ცხოვრების ყველა სასწავლო-საალმზრდელო საკითხის კოლექტიურად გადმხილველი ორგანოა.

57. პედაგოგიური საბჭოს გამგებლობაში შედის:

ა) შეიმუშაოს ღონისძიებანი პარტიისა და მთავრობის დირექტივებისა და საბავშვო სახლის მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების მითითებათა და განკარგულებათა შესასრულებლად;

ბ) სასწავლო წლის დაწყების წინ განიხილოს საბავშვო სახლის მუშაობის წლიური გეგმა, აგრეთვე არდადეგების, რევოლუციური დღეების ჩატარებისა და სხვ. გეგმები;

გ) განიხილოს საბავშვო სახლის თითოეული მეოთხედისა და მთელი წლის მუშაობის შედეგები, აგრეთვე ცალკეულ ბავშვთა მოსწრებისა და ყოფაქცევის საკითხები;

დ) განიხილოს აღსაზრდელთა მიღება-გამოშვების და გამოსაშვები აღსაზრდელების სასწავლო დაწესებულებებსა და სამუშაოზე მოწყობის საკითხები;

ე) მუშაობის საუკეთესო ნიმუშების დანერგვის მიზნით, განახორციელოს საბავშვო სახლის აღმზრდელთა და სხვა მუშაკთა გამოცდილების სისტემატური გაზიარება;

ვ) შეიმუშაოს ღონისძიებანი მოსწრების ასამაღლებლად, საბავშვო სახლში წესრიგისა და დისციპლინის განსამტკიცებლად, შეისწავლოს მათი დარღვევის ცალკე შემთხვევები და გამოიმუშაოს ზეგავლენის ზომები;

ზ) განიხილოს საერთო პედაგოგიური საკითხები, წერილები პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთებიდან და საერთო პრესიდან.

58. პედაგოგიურ საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საბავშვო სახლის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში, პიონერხელმძღვანელი, აღმზრდელები, შრომის მასწავლებელი, საკლუბო-საწრეო მუშაობის ხელმძღვანელი, სამნეო ნაწილის გამგე, საბავშვო სახლის ექიმი და იმ სკოლის დირექტორი, რომელშიაც საბავშვო სახლის აღსაზრდელები სწავლობენ.

59. პედაგოგიური საბჭო მოიწვევა საბავშვო სახლის დირექტორის მიერ თვეში ერთხელ.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილებებს ამტკიცებს საბავშვო სახლის დირექტორი, რომელიც ვალდებულია შეამოწმოს ამ დადგენილებათა შესრულება.

ბ) აქტი ამყვანი ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების წინაწარი გამოკვლევისა და ოჯახის წევრთა და ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ასლი დაბადების მოწმობისა ან სხვა დოკუმენტის, რომელიც ბავშვის ასაკს დაადასტურებს;

დ) ბავშვის პირადი ბარათი.

ე) ხელშეკრულება პატრონატის შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს ყოველთვიური დახმარების გაცემა თარიღის ჩვენებით, პირადი ბარათის თითო ცალი იგზავნება საოლქო სახალხო განათლების განყოფილებაში ან ასსრ განათლების სამინისტროში პატრონატის ქვეშ მყოფ ბავშვთა **აღსარიცხავ წიგნში შესატანად. მათვე** ეგზავნება ცნობა პატრონატიდან გასვლის ან პატრონატის შეწყვეტის შესახებ.

13. ბავშვის პატრონატზე გაცემის დროს სახალხო განათლების განყოფილება იღებს ზომებს მისი ქონების დაცვისა და ბავშვის სასარგებლოდ მიზანშეწონილად გამოყენებისათვის. მეურვეობა ინიშნება ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. ბავშვის პირად საქმეში ამის შესახებ შეიტანება შესაფერი ცნობა.

14. პატრონატის ქვეშ მყოფი ბავშვის გაშვილება შეიძლება კანონის შესაბამისად გაშვილების მომენტიდან ხელშეკრულება პატრონატის შესახებ ძალას კარგავს.

15. ბავშვთა პატრონატზე კონტროლის განხორციელების საქმეში უნდა იქნეს ჩაბმული საბჭოთა საზოგადოებრივობა, საქალაქო სარაიონო საბჭოების ბავშვთა უმეთვალყურეობასთან მებრძოლ სექციების სახით.

16. იმ შემთხვევაში, თუ ამყვანი აღებულ ვალდებულებას არადამაკმაყოფილებლად ასრულებს, მიღებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომები. ის პირი, რომელიც პატრონატს ბოროტად გამოიყენებს და ბავშვს უყურადღებოდ და მატერიალური დახმარების გარეშე დატოვებს, მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ:
საქ. სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე მ. ბურჭულაძე.
5 მაისი, 1948 წ.

ინსტრუქცია

ბავშვთა გადაცემის შესახებ აღსაზრდელად მშრომელთა ოჯახებში.

პატრონატი

1. პატრონატი ანუ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა გადაცემა აღსაზრდელად მშრომელთა ოჯახებში წარმოადგენს საზოგადოებრივი დახმარების ერთერთ ფორმას ბავშვთა დაცვის და ბავშვთა უმეთვალყურეობისა და უპატრონობასთან ბრძოლას სახელმწიფოებრივ სისტემაში.

2. უდედმამოდ დარჩენილი ბავშვის პატრონატზე, ანუ აღსაზრდელად აყვანა შეუძლია ყველა მუშის, მოსამსახურისა და კოლმეურნის ოჯახს.

3. პატრონატზე აყვანა ხდება შეთანხმების საფუძველზე. პატრონატზე ამყვანად არ შეიძლება დაშვებულ იქნან სასამართლოს შიერ საარჩევნო ხმის უფლებააყრილნი. მშობლიურ უფლება ჩამორთმეულნი, სულით ავდმყოფნი, მცირეწლოვანნი და აგრეთვე ის პირნი, რომელთა ინტერესებიც ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

4. აღსაზრდელად გაიცემიან ბავშვები, რომლებმაც მშობლები დაკარგეს, ან გაწყვეტილი აქვთ მათთან კავშირი რაიმე მიზეზით, საბავშვო სახლის აღსაზრდელები და სხვა.

არ შეიძლება პატრონატზე გაცემა იმ ბავშვებისა, რომლებიც დაავადებული არიან მწვავე ან ქრონიკული გადამდები სნეულებით.

5. პატრონატზე გაცემას აწარმოებენ: 3 წლიდან 14 წლამდე ასაკის ბავშვებისას—ქალაქის ადგილებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში სახალხო განათლების საქალაქო ან სარაიონო

განყოფილებანი, 5 თვიდან 3 წლის ასაკამდე ბავშვებისას—ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებანი. სოფლის ადგილებში ბავშვების პატრონატზე გაცემას აწარმოებენ აგრეთვე სოფლის საბჭოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონატზე გაცემა ფორმდება ხელშეკრულებით, რომელიც დაიდება ბავშვის გამცემ სახალხო განათლების განყოფილების გამგესა და ბავშვის ამყვან პირს შორის. სოფლის ადგილებში ხელშეკრულებას ხელს აწერს ბავშვის გამცემი ორგანოს ხელმძღვანელი და ბავშვის ამყვანი პირი. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გატარდეს რეგისტრაციაში სასოფლო საბჭოში და ასლი გადაიგზავნოს განათლების განყოფილებაში.

ხელშეკრულების დადებამდე დაწვრილებით უნდა იქნას გამორკვეული ამყვან ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობები და ყველა წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაზედაც უნდა დაიწეროს აქტი.

7. პატრონატზე მყოფი ბავშვი, სამი წლის ასაკის შესრულების შემდეგ, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მიერ გადაეცემა შემდეგი უზრუნველყოფისათვის სახალხო განათლების განყოფილებას, რომელიც ახალ ხელშეკრულებას დებს იმავე აღმზრდელთან. 14 წლის ასაკის შესრულების შემდეგ მოზარდი იგზავნება სახალხო განათლების განყოფილების შეხედულებისამებრ სახელოსნო, სარკინიგზო ან საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში სასწავლებლად, ან წარმოებაში სამუშაოდ, საბავშვო სახლის აღსაზრდელების თანაბრად. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება პატრონატის შესახებ ძალას კარგავს.

შენიშვნა: პატრონატის გაგრძელება 16 წლის ასაკამდე დასაშვებია გამონაკლის შემთხვევაში (ავადმყოფობა) პატრონატზე გაცემის დროს ბავშვს ეძლევა ერთდროულად ტანსაცმელი და ფეხსაცმელი და ყოველთვიურად შესანახი დახმარება ადგილობრივ ბიუჯეტში საამისოდ გათვალისწინებულ თანხებიდან, რაც უნდა აღინიშნოს ხელშეკრულებაში.

8. პატრონირებაზე მყოფ იმ აღსაზრდელთათვის, რომელნიც სწავლობენ სამუალო სკოლების IX - XI კლასებში და სასწავლო საგნებში აქვთ შეფასება არა ნაკლებ „4“ და „5“, პატრონირების ვადა გრძელდება სრულწლოვანების მიღწევამდე.

9. პატრონატზე მყოფი ის აღსაზრდელები, რომელნიც სწავლობენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში (ტექნიკუმებში), სტიპენდიებს ღებულობენ სსრკ-ს სახკომსაბჭოს 1943 წლის № 996 დადგენილების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. თუ პატრონატის ქვეშ მყოფს ეძლევა პენსია ან ალიმენტი, ეს თანხა გადაეცემა ამყვანს ყოველთვიური დახმარების ანგარიშში. თუ პენსია ან ალიმენტი აღემატება ყოველთვიური დახმარებასათვის განსაზღვრული თანხის რაოდენობას, მაშინ ყოველთვიური დახმარება აღარ გაიცემა და პენსია ან ალიმენტი მიეცემა მთლიანად პატრონატზე ამყვანს, რაც უნდა იქნეს მოხსენებული ხელშეკრულებაში.

11. სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებას ევალება:

ა) პატრონატზე ამყვანი ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა;

ბ) ყოველთვიური შესანახი დახმარების გაცემა;

გ) ხელშეკრულების დადება ამყვან პირთან;

დ) ამყვანი ოჯახისათვის დახმარება ბავშვის აღზრდისა და სწავლის საქმეში;

ე) მეთვალყურეობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

ვ) მოზარდის შრომითი მოწყობა დაწესებული ასაკის შესრულების შემდეგ.

სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილება აწარმოებს მეთვალყურეობას და კონტროლს, როგორც მის მიერ გაცემულ ბავშვებზე, აგრეთვე იმათზედაც, რომლებზედაც ძზრუნველობენ სასოფლო საბჭოები.

სასოფლო საბჭოები ხუთი დღის ვადაში, დღიდან ხელშეკრულების დადებისა, გზავნიან ცნობას სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებაში 3—14 წლის ასაკის ბავშვთა პატრონატზე გაცემის შესახებ ამყვანი ოჯახის მისამართის ჩვენებით და ბავშვის პირადი ბარათის დართვით. ცნობები სამი წლისა და უმცროსი ბავშვების შესახებ იგზავნება ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში

12. პატრონატის ქვეშ მყოფ ყველა ბავშვზე უნდა შესდგეს პირადი საქმე, რომელშიდაც შეიტანება:

ა) პატრონატზე ამყვანის განცხადება;

შტატი, დაფინანსების წესი და საბავშვო სახლის ქონება

60. საბავშვო სახლის შტატს აწესებს საქართველოს სსრ განათლების და ფინანსთა სამინისტრო ტიპიური შტატების მიხედვით.

61. თითოეულ საბავშვო სახლს აქვს თავისი დამოუკიდებელი წლიური ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული.

62. კრედიტების განმკარგულებელია საბავშვო სახლის დირექტორი.

63. საბავშვო სახლის მთელი ქონება (შენობა, მოწყობილობა, ცოცხალი და არა ცოცხალი ინვენტარი), რომლითაც სახლი სარგებლობს, შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

64. საბავშვო სახლს აქვს თავისი ბეჭედი და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ბურჯულაძე

შეკვ. № 687 ტირაჟი 500. უე 04531

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат „Комунисти“
им. Л. П. Берия, Тбилиси ул. Ленина, № 14